რეკომენდაციები კვლევის არაკეთილსინდისიერების გამოძიებაზე

Enrio

EUROPEAN NETWORK OF RESEARCH INTEGRITY OFFICES

სახელმძღვანელო

eneri

The European Network of Research Ethics and Research Integrity

European Commission

ENRIO-ს
სახელმძღვანელო

რეკომენდაციები კვლევის არაკეთილსინდისიერების გამოძიებაზე

ENERI კონსორციუმის მიერ, ENRIO-თან მჭიდრო თანამშრომლობით

საკონტაქტო ინფორმაცია:

ENERI
Dirk Lanzerath
University of Bonn
Bonner Talweg 57
53113 Bonn (Germany)
lanzerath@drze.de
www.eneri.eu

ENRIO/OeAWI
Nicole Foeger
Austrian Agency for Research Integrity (OeAWI)
Landstrasser Hauptstrasse 9/21
1030 Vienna (Austria)
nicole.foeger@oeawi.at
www.enrio.eu

გრაფიკული დიზაინი: Armin Schmolmueller (OeAWI)
დაიბეჭდა ავსტრიაში druck.at Druck- und Handelsgesellschaft mbH-ის მიერ

Attribution 4.0 International
(CC BY 4.0)

ENERI პროექტმა დაფინანსება მიიღო European Union's Horizon 2020 კვლევისა და ინოვაციების პროგრამისაგან, საგრანტო ხელშეკრულებით No. 710184.

European Commission

ქართული თარგმანი მომზადდა ევროკომისიის მიერ დაფინანსებული პროექტის „კვლევის პასუხისმგებლობიანად წარმართვა – კვლევის კეთილსინდისიერება და ეთიკა ქართულ უნივერსიტეტებში (ETHICS)" ფარგლებში, 2024 წლის თებერვალში.

"The European Commission support for the production of this publication does not constitute an endorsement of the contents which reflects the views only of the authors, and the Commission cannot be held responsible for any use which may be made of the information contained therein."

სარჩევი

პრეამბულა i

ENRIO-ს სახელმძღვანელო ii

1 ქცევის კოდექსი (სახელმძღვანელო მითითებები) 7

2 კვლევის არაკეთილსინდისიერების განმარტება და სხვა მიუღებელი/უპასუხისმგებლო პრაქტიკები 7

3 კვლევის კეთილსინდისიერების (RI) სისტემის დაწესება ან გაუმჯობესება 10

4 ინტერესთა კონფლიქტები 16

5 საგამოძიებო კომიტეტთა შემადგენლობა და კომპეტენცია 16

6 საგამოძიებო კომიტეტთა შემადგენლობა და კომპეტენცია 18

7 ბრალდების განცხადებებისა და შემაშფოთებელი საკითხების მიღება, მითითებათა გაცემასთან ერთად 20

8 ბრალდების განცხადებათა განხილვა 22

9 აპელაცია ან ალტერნატიული მოსაზრება 31

10 სანქციები და შემდგომი ნაბიჯები 32

11 ინფორმაციის გავრცელება და კომუნიკაცია გამოძიებისას და მის შემდეგ 34

12 რეაგირება გამოძიების მიერ გამოვლენილ შესაძლო სისტემურ პრობლემებზე 35

13 საზღვართაშორისი ბრალდებები/გამოძიებები 37

14 როგორ ვისწავლოთ ერთმანეთისგან 42

მიძღვნა *43*

დანართი *45*

პრეამბულა

კვლევის კეთილსინდისიერების ოფისთა ევროპული ქსელი (European Network of Research Integrity Offices - ENRIO) დაარსდა 2007 წელს, გაერთიანებული სამეფოს კვლევის კეთილსინდისიერების ოფისის (UK Research Integrity Office – UKRIO), ასევე, სხვა არაერთი ევროპული ორგანიზაციისა თუ მოძრაობის წარმომადგენელთა ინიციატივით, რომლებიც მუშაობენ კვლევის კეთილსინდისიერების შემთხვევებზე, ან დაინტერესებულნი არიან ამ საკითხებით. აქედან მოყოლებული, ENRIO გაფართოვდა როგორც არაფორმალური ქსელი, 30-მდე წევრი ორგანიზაციით, რომლებიც მოქმედებენ ოცზე მეტ ქვეყანაში.

2011 წელს ყველა ევროპულმა აკადემიამ (ALLEA) და მეცნიერებათა ევროპულმა ფონდმა (ESF) შეიმუშავეს კვლევის კეთილსინდისიერების ევროპული ქცევის კოდექსი. დოკუმენტი 2017 წელს შესწორდა და სამეცნიერო საზოგადოებას სთავაზობს ერთგვარ თვითრეგულაციის ჩარჩოს, ხოლო კვლევის პრინციპების ჩამოყალიბება და სათანადო კვლევითი ქცევის კრიტერიუმების განსაზღვრა რჩება სამეცნიერო საზოგადოების ძირითად პასუხისმგებლობად. ENRIO ადასტურებს ევროპული ქცევის კოდექსის (CoC) ძირითად პრინციპებს.

ევროპული ქცევის კოდექსი კვლევის კეთილსინდისიერებას (RI) განიხილავს უფრო ფართო გაგებით, ხოლო ENRIO-ს ამ სახელმძღვანელოს მიზანია, დამატებით დააკონკრეტოს კოდექსის 3.2 პუნქტი - „დარღვევებსა და არაკეთილსინდისიერების გამოვლენასთან გამკლავება“. სახელმძღვანელო მოიცავს დაწვრილებით პრაქტიკულ რეკომენდაციებს, თუ როგორ უნდა გავუმკლავდეთ არაკეთილსინდისიერებას კვლევისას თუ სხვა მიუღებელ ქმედებებს.

მიუხედავად იმისა, რომ ეს სახელმძღვანელო და მისი შემდგომი შესწორებები განკუთვნილია ENRIO-ს წევრი ორგანიზაციებისთვის, მისი გამოყენება შეუძლიათ სხვა ორგანიზაციებსაც, ევროპასა და მის საზღვრებს გარეთ. თუმცა, სახელმძღვანელო ENRIO-ს წევრ ან არაწევრ ორგანიზაციებს არ სთავაზობს სავალდებულო ხასიათის რჩევებს, როგორ უნდა გაუმკლავდნენ კვლევის არაკეთილსინდისიერებას და დაიცვან გამოძიებაში მონაწილე პირები. მსგავსი რჩევა არ იქნებოდა რეალისტური, ევროპის ქვეყნებს შორის კულტურული, სოციალური, პოლიტიკური, ტექნიკური თუ სამართლებრივი განსხვავებებიდან გამომდინარე. ამ განსხვავებათა მიუხედავად, ENRIO-ს წევრ ან არაწევრ ორგანიზაციებს შეუძლიათ ერთმანეთისგან სწავლა და გამოცდილების ურთიერთგაზიარება. ასეთი რამ უკვე მომხდარა ENRIO-ს ათწლიანი არსებობისა და განვითარების განმავლობაში. სხვადასხვა ქვეყანაში დაარსდა კვლევის

კეთილსინდისიერების ახალი ეროვნული (ან ადგილობრივი) ორგანოები, ასევე, განვითარდა და შესწორდა სახელმძღვანელო მითითებები თუ პროცედურები. ევროპულ დონეზე კვლევის კეთილსინდისიერება უფრო აქტუალურად დადგა დღის წესრიგში, ვიდრე 10-15 წლის წინათ. ეს ტოვებს უმტკივნეულო ჰარმონიზაციის შესაძლებლობას, რაც ამ სახელმძღვანელოს მთავარი მიზანია.

ფაქტი, რომ კვლევა სულ უფრო ინტერნაციონალური ხდება და სცდება სახელმწიფოთა საზღვრებს, უმტკივნეულო ჰარმონიზაციის კიდევ ერთი მიზეზია. შედეგად, მცირდება სპეციალური ადგილობრივი წესებისა ან სახელმძღვანელო მითითებების გამოყენება. უმტკივნეულო ჰარმონიზაციას შეუძლია, გაამარტივოს მკვლევართა შემთხვევებთან გამკლავება სხვადასხვა ქვეყანასა თუ დაწესებულებაში.

ii ENRIO-ს სახელმძღვანელო

მიუხედავად ყველაფრისა, 2019 წელს ENRIO მაინც მრავალფეროვან ევროპულ სურათს ასახავს. ერთ-ერთი საკითხი, რაშიც არსებითი განსხვავებაა, არის კვლევის კეთილსინდისიერებისა და დარღვევებთან გამკლავების „ინსტიტუციური“ პასუხისმგებლობა - როგორია იგი - ადგილობრივი, ეროვნული, თუ გაზიარებული/გაყოფილი სხვადასხვა ორგანოს შორის, სხვადასხვა დონეზე. ENRIO-ში სახელმწიფოთა, დაახლოებით, ნახევარს აქვს ეროვნული ან ადგილობრივი მხარდამჭერი პლატფორმები თუ ქსელები, რომლებიც კვლევის კეთილსინდისიერებაზე მუშაობენ, ან მხოლოდ ზოგად რჩევებს, ტრენინგსა და/ან მედიაციას სთავაზობენ. დარჩენილ მეორე ნახევარს კვლევის არაკეთილსინდისიერების შემთხვევებზე საპასუხოდ აქვს ეროვნული კომიტეტები: ისინი სთავაზობენ მბოჭავ ან არამბოჭავ მოსაზრებებს, რომელთა მოქმედების სფერო მხოლოდ ამ სახელმწიფოში ვრცელდება, ან შემოიფარგლება აფილირებული კვლევითი ინსტიტუტებით სახელმწიფოში. ამასთანავე, ზოგ ეროვნულ კომიტეტს უფლება აქვს, ჩაერიოს პირველი და/ან მეორე ინსტანციის სასამართლო განხილვაში, სხვა ეროვნული ორგანოების როლი კი მხოლოდ ხელმძღვანელობაა. ეროვნული კომიტეტები შეიძლება იყოს ნებაყოფლობითიც და კანონმდებლობაზე დაფუძნებულიც. ეს მნიშვნელოვანია, რადგან სავალდებულო საჯარო სამართალი, ზოგადად, კანონმდებლობაზე დაფუძნებულ კომიტეტებზე ვრცელდება. შეიძლება განსხვავდებოდეს შემთხვევათა გამოქვეყნების პრაქტიკაც: ზოგი ეროვნული კომიტეტი აქვეყნებს თავის შემთხვევებს (მაგ. ვებგვერდებზე), ზოგი ასახელებს თანამონაწილე პირებს, ზოგი კი შემოიფარგლება მკაცრად ანონიმური აღწერით. ამასთანავე, ნაწილი მხოლოდ მშობლიურ ენაზე აქვეყნებს, ნაწილი კი - ინგლისურადაც. რომ შევაჯამოთ, ეროვნულ და/ან ადგილობრივ კომიტეტებს შეუძლიათ, ჰქონდეთ თავიანთი რეგულაციები.

რაც შეეხება კვლევის არაკეთილსინდისიერებისას გამოძიებაში ჩართულ პირთა

დაცვას, ENRIO-ს წევრი სახელმწიფოები, ჩვეულებრივ, დაცვას სთავაზობენ მამხილებლებს. ENRIO დიდი ხანია მუშაობს ამ მნიშვნელოვან საკითხზე და აპირებს რეკომენდაციების გამოქვეყნებასაც.

როგორც აღინიშნა, ამ სახელმძღვანელოს შთაგონების პირველადი წყაროა კვლევის კეთილსინდისიერების ევროპული ქცევის კოდექსი (2017). დამატებით, გათვალისწინებულია სხვადასხვა ეროვნული ქცევის კოდექსი და სახელმძღვანელო მითითებები, მოხსენებები ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) მსოფლიო სამეცნიერო ფორუმიდან, რომელიც შეეხებოდა „სამეცნიერო კეთილსინდისიერების უზრუნველყოფისა და არასათანადო ქცევის პრევენციის საუკეთესო პრაქტიკას“ და „კვლევის არაკეთილსინდისიერების ბრალდებათა გამოძიებას საერთაშორისო თანამშრომლობის კვლევით პროექტებში“ (2009). ასევე ჩართულია კვლევის კეთილსინდისიერების მსოფლიო კონფერენციებზე მიღებული ცოდნა და გამოცდილება, რომლებიც ლისაბონში (პორტუგალია) გამართული პირველი კონფერენციის შემდეგ (2007), წელიწადში ორჯერ ტარდება. „მეცნიერული ევროპაც“ (Science Europe) მუშაობს კვლევის კეთილსინდისიერების საკითხებზე და ბოლო წლებში რამდენიმე გამოსადეგი ანგარიში და რჩევაც გამოაქვეყნა.

ყველაზე არსებითი ამ სახელმძღვანელოსთვის მაინც ENRIO-ს წევრი ორგანიზაციების (წარმომადგენელთა) შრომა და ცოდნაა. სახელმძღვანელო ერთგვარი კონსენსუსური დოკუმენტია, იმის მიუხედავად, რომ სხვადასხვა საკითხზე სხვადასხვა შეხედულებას მოიცავს. მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, რომ მას არ აქვს რაიმე სამართლებრივი სტატუსი და არ წარმოგვიდგენს ამა თუ იმ ევროპული ქვეყნის „ოფიციალურ პოლიტიკას“.

ამას მოჰყვება რიგი რეკომენდაციები და გასათვალისწინებელი საკითხები, თუ როგორ უნდა გავუმკლავდეთ არაკეთილსინდისიერებას კვლევისას და დავიცვათ გამოძიებაში ჩართული პირები, ENRIO-ს წევრ ორგანიზაციათა გამოცდილებებსა და სწავლებებზე დაყრდნობით, ისე, რომ გათვალისწინებული იყოს ეროვნული ან ადგილობრივი განსხვავებები მათი განხორციელებისას.

როგორც ცოცხალ დოკუმენტს, ამ სახელმძღვანელოს დროთა განმავლობაში შესწორება დასჭირდება, რათა შეესაბამებოდეს შემდგომ განვითარებას ევროპულ ქვეყნებში და, ამავდროულად, კვლევის კეთილსინდისიერების სფეროში.

ENRIO გაითვალისწინებს ნებისმიერ უკუკავშირსა ან რჩევებს დოკუმენტის გასაუმჯობესებლად.

მარტი, 2019

პასუხისმგებლიანი კვლევის დარღვევებზე ეჭვის შემთხვევაში, აუცილებელია დაუყოვნებლივი და ქმედითი რეაგირება, რათა შენარჩუნდეს ზოგადი ნდობა კვლევისადმი, მათ შორის, სამეცნიერო საზოგადოების ნდობა კვლევის მიმართ, და ხალხის აღქმა კვლევის სარწმუნოობასთან მიმართებით.

კვლევის კეთილსინდისიერების დანიური ქცევის კოდექსი, ივლისი 2015, 22
(ასევე, იხილეთ ევროპული ქცევის კოდექსი).

1

ქცევის კოდექსი (სახელმძღვანელო მითითებები)

თითოეული ევროპული ქვეყანა, კვლევითი დაწესებულება და მკვლევარი უნდა მიჰყვებოდეს კვლევის კეთილსინდისიერების ევროპულ ქცევის კოდექსს (CoC).

ევროპული ქცევის კოდექსის ეროვნული დანართი, ან უფრო დეტალური და კონკრეტული ეროვნული, ადგილობრივი და/ან სფეროსთვის სპეციფიკური სახელმძღვანელო მითითებები/ქცევის კოდექსები სასარგებლოა და, შესაბამისად, რეკომენდებულიც.

მსგავსი ადგილობრივი/ეროვნული სახელმძღვანელო მითითებები/ქცევის კოდექსები აქტიურად უნდა განიხილებოდეს, იყოს მარტივად ხელმისაწვდომი და რეგულარულად შეფასდეს/შესწორდეს.

2

კვლევის არაკეთილსინდისიერების განმარტება და სხვა მიუღებელი/უპასუხისმგებლო პრაქტიკები

კვლევის არაკეთილსინდისიერებისა და მიუღებელი პრაქტიკის აღწერას ან განმარტებას უნდა მოიცავდეს ეროვნული ან ადგილობრივი სახელმძღვანელო

მითითებები/ქცევის კოდექსები. თუ ასე არ არის, კონკრეტული აღწერები და განმარტებები უნდა აღინიშნოს სხვა შესაბამის დოკუმენტებში, მაგალითად, კანონმდებლობაში, ხელშეკრულებებში, პოლიტიკის დოკუმენტებსა და პროცედურებში.

უნდა მიეთითოს ფსიქიკური მდგომარეობისა (mens rea) და განზრახვის დონის საკითხიც: ხომ არ არსებობს თუნდაც მინიმალური განზრახვა - მაგალითად, არაკეთილსინდისიერება განზრახ გამოვლინდა, თუ (მხოლოდ) დაუდევრობით? მკაფიო სტანდარტი ან მტკიცების ტვირთი უნდა აკონკრეტებდეს, თუ რა მოითხოვება განზრახვის სხვადასხვა დონის დემონსტრირებისთვის, მტკიცებულების გამამყარებელ მაგალითებთან ერთად, რათა დადასტურდეს განზრახვის ესა თუ ის დონე. თუმცა, ადგილი უნდა რჩებოდეს პატიოსანი შეცდომებისა და აზრთა გულწრფელი სხვადასხვაობისთვისაც, როგორც აკადემიური თავისუფლების ნაწილისთვის.

არ არსებობს კვლევის არაკეთილსინდისიერების ან მიუღებელი პრაქტიკის ერთიანი ევროპული განმარტება, იმის მიუხედავად, რომ ევროპული ქცევის კოდექსი გარკვეულ მითითებებს იძლევა.

ზოგ ქვეყანას (ან დაწესებულებას) კვლევის არაკეთილსინდისიერების მკაფიო განმარტება აქვს (მაგ. ფაბრიკაცია, ფალსიფიკაცია და პლაგიატი, იგივე FFP), სხვები კი უფრო „მორალურ“ განმარტებას გვთავაზობენ. კარგი სამეცნიერო/კვლევითი პრაქტიკის ან მიუღებელი/უპასუხისმგებლო კვლევის მცირე დარღვევებზე მკაფიო განმარტებები იშვიათია, მიუხედავად იმისა, რომ ეს მნიშვნელოვანი და ძალიან სასარგებლოა. რაკი კვლევის მიუღებელი/უპასუხისმგებლო პრაქტიკის განმარტებები დიდწილად დამოკიდებულია სამეცნიერო სფეროსა ან აკადემიურ დისციპლინაზე, სახელმძღვანელო მითითებების მეტი დეტალიზაციისას შესაძლებელია კონსულტაციების გავლა შესაბამის ეროვნულ ან საერთაშორისო ასოციაციებთან.

3

კვლევის კეთილსინდისიერების (RI) სისტემის დაწესება ან გაუმჯობესება

არ არსებობს მხოლოდ ერთი მოდელი ან სისტემა, რომელიც ყველა შემთხვევას მოერგება. სურათი განსხვავდება მთელ ევროპაში. ზოგი სისტემა ეფუძნება კანონმდებლობას, ზოგი კი ეყრდნობა ნებაყოფლობითობის დაცვას, ან აკლია კვლევის კეთილსინდისიერების (ერთიანი) ეროვნული ან ადგილობრივი (ინსტიტუციური) სტრუქტურა.

კვლევის არაკეთილსინდისიერებასთან (მათ შორის, კარგი სამეცნიერო/კვლევითი

პრაქტიკის დიდ და მცირე დარღვევებთან) გასამკლავებლად, თითოეულ ევროპულ ქვეყანაში უნდა დაინერგოს ერთიანი და მტკიცე სისტემა. მთავარი პასუხისმგებლობა შეიძლება, ძირითადად, ადგილობრივი ან, ძირითადად, ეროვნულიც იყოს. შესაძლოა, წამყვანი როლი ჰქონდეს ყველას - სამთავრობო ორგანოებს, ეროვნულ საფონდო ორგანოებს, კერძო ფონდებს, კვლევით დაწესებულებებს და ა.შ., თუმცა პასუხისმგებლობები მკაფიოდ უნდა გადანაწილდეს.[1]

ასეთი მნიშვნელოვანი სისტემებისთვის საჭირო რესურსები უფრო ხელმისაწვდომი უნდა გახდეს.

სისტემასა და პროცედურებთან დაკავშირებული საკითხები უნდა იყოს გამჭვირვალე და ეთანხმებოდეს (შეესაბამებოდეს) ეროვნულ კანონმდებლობას ან რეგულაციას.

თითოეულ დაწესებულებას/ორგანოს (მაგ. ეროვნული, სექტორთაშორისი ან ადგილობრივი დაწესებულება), რომელიც პასუხისმგებელია კვლევის არაკეთილსინდისიერების გამოძიებაზე, უნდა ჰქონდეს მკაფიოდ დადგენილი წერილობითი პროცედურები. ისინი უნდა შეესაბამებოდეს ეროვნულ კანონმდებლობას ან რეგულაციებს და ევროპულ ქცევის კოდექსს. პროცედურები ხელმისაწვდომი უნდა იყოს შესაბამის ეროვნულ ენაზე, ასევე, ინგლისურად.

გამოძიების სამართავად, წესები და პროცედურები შესაბამისად უნდა აღიწეროს და დაინერგოს.

პროცედურები უნდა იყოს საჯარო, მარტივად ხელმისაწვდომი და მუდმივად მიეწოდებოდეს ყველას, ვინც მიეკუთვნება ან უერთდება ინსტიტუციურ სამეცნიერო საზოგადოებას (უნივერსიტეტის სტუდენტები, ფაკულტეტის წევრები, კვლევის თანამშრომლები, დამკვირვებლები და ა.შ).

კვლევის კეთილსინდისიერებასთან დაკავშირებულ შემთხვევებს, არაკეთილსინდისიერებასა თუ სხვა გადაცდომებს, პირველ რიგში, უნდა განიხილავდეს კვლევითი საზოგადოება, ან/და სპეციალურად სამეცნიერო საზოგადოებისთვის დაწესებული ინსტიტუციური ორგანო. ეს ძველი ტრადიციაა, რომელიც ეფუძნება თვითრეგულაციის ცნებას.

რეკომენდებულია ეროვნული სამეთვალყურეო ორგანოს შექმნა.

---

[1] გასამარტივებლად, ვიყენებთ ტერმინ „ადგილობრივს“, „ეროვნულის“ წინააღმდეგ, თუმცა მმართველობის სახეები სხვადასხვა ქვეყანაში საკმაოდ განსხვავდება. შეგხვდებათ ქვეყნები: ა) (ფორმალური) სტრუქტურების გარეშე; ბ) ცალკეულ დაწესებულებებზე პასუხისმგებლობით; გ) თემატურად დაყოფილი პასუხისმგებლობით; დ) რეგიონულ ან ეროვნულ დონეზე პასუხისმგებლობით (მაგ: საფონდო ან პროფესიული ორგანოები); ე) ეროვნული ზედამხედველობის ქვეშ არსებული ადგილობრივი პასუხისმგებლობით (ან, უბრალოდ, „ეროვნული“ ხელმძღვანელობით); ვ) ეროვნული ოფისით ან მუდმივმოქმედი ეროვნული კომიტეტით, რომელიც პასუხისმგებელია მხოლოდ სერიოზული დარღვევების/კვლევისას არასათანადო ქცევის გამოძიებაზე, მაშინ, როცა დაწესებულებები შეიძლება მცირე დარღვევებზეც აგებდნენ პასუხს.

გასათვალისწინებელია შემდეგი ასპექტები

შემთხვევების განხილვა ადგილობრივ და/ან ეროვნულ დონეზე? Ad hoc თუ მუდმივმოქმედი კომიტეტი?

დარღვევებს, როგორც წესი, განიხილავენ:

- მუდმივმოქმედი ადგილობრივი კომიტეტ(ებ)ი
- მუდმივმოქმედი ეროვნული კომიტეტ(ებ)ი
- ორივე ერთად, ცალკეულ შემთხვევებში ან ხანდახან
- Ad hoc კომიტეტი (სპეციფიკური შემთხვევისთვის)

ზოგი კომიტეტი მრჩევლის როლს ასრულებს, ზოგი კი იღებს გადაწყვეტილებებს.

- **ადგილობრივი განხილვის/ორგანოების უპირატესობები**

ბევრი მიზეზია, თუ რატომ შეიძლება, რომ კვლევის არაკეთილსინდისიერების განხილვა ადგილობრივ დონეზე (ადგილობრივი ინსტიტუციის მიერ), უდაბლეს ადგილობრივ დონეზეც კი, ხელსაყრელი აღმოჩნდეს. ყველაზე ხშირად ადგილობრივი დაწესებულება ბრალდებული მკვლევრ(ებ)ის დამსაქმებელია (ვინც ასევე ყველაზე ხშირად წყვეტს სანქციების საკითხს) და იცის ადგილობრივი გარემოებები. მეტიც, ადგილობრივი დაწესებულება პასუხისმგებელია ზოგადად კვლევით საქმიანობებზე, მათ შორისაა კვლევის კარგი პრაქტიკისა და პოზიტიური კულტურის ხელშეწყობა, ტრენინგების უზრუნველყოფა კვლევის მეთოდოლოგიასა და კეთილსინდისიერებაზე, ასევე, მკვლევრებს შორის თანამშრომლობის ხელშეწყობა, როგორც დაწესებულების შიგნით, ისე გარეთ.

- **Ad hoc კომიტეტები მუდმივმოქმედი კომიტეტების წინააღმდეგ**

განსაკუთრებულ შემთხვევებში, შესაძლოა, Ad hoc კომიტეტის არსებობა უპირატესობად ჩაითვალოს, თუმცა, ზოგადად, მუდმივმოქმედი კომიტეტი უმჯობესია, განსაკუთრებით, თუ აქვს სრულყოფილი ცოდნა და ღრმა გამოცდილება საგნის შესახებ. მუდმივმოქმედი კომიტეტები იძენენ ამ გამოცდილებას, მაშინ, როცა Ad hoc კომიტეტებს თავდაპირველი მომზადება ესაჭიროებათ ამა თუ იმ შემთხვევის განსახილველად. ფაქტობრივად, მათ ნულიდან უწევთ დაწყება. უფრო პატარა დაწესებულებებში ზოგ მუდმივმოქმედ

კომიტეტს შემოსაზღვრული გამოცდილება ექნება მცირე რაოდენობის შემთხვევათა გამო. სხვადასხვა შემთხვევას, უმეტესად, სხვადასხვა მიდგომა სჭირდება, სწორედ ამიტომ, უფრო პატარა დაწესებულებებისთვის შეიძლება უმჯობესი აღმოჩნდეს საერთო მუდმივმოქმედი კომიტეტების დაარსება. ამან შესაძლოა ინტერესთა კონფლიქტებიც (CoI) შეამციროს, რაც მორიგი უპირატესობაა.

მუდმივმოქმედმა ან უცვლელმა კომიტეტებმა, შესაბამისი საგნობრივი ცოდნის მქონე ad hoc წევრების არჩევით, დროთა განმავლობაში შეიძლება საერთო, გრძელვადიანი გამოცდილება შემოგვთავაზონ. სრულად ad hoc კომიტეტებს განსაკუთრებული ხელმძღვანელობა დასჭირდებათ გამოძიებასა და მათ როლთან დაკავშირებულ პროცედურულ საკითხებში. ნებისმიერ შემთხვევაში, საგანგებოდ დანიშნულ პირს, რომელსაც ესმის ინსტიტუციური პროცესი, შეუძლია შემთხვევებს შორის თანმიმდევრულობის უზრუნველყოფა და ორივე კომიტეტის დახმარება საკუთარი ფუნქციის აღსრულებაში, მუდმივმოქმედი იქნება ის, თუ ad hoc.

- **ზედამხედველობის ეროვნული ორგანოს უპირატესობები და სავარაუდო ვალდებულებები**

ENRIO-ს გამოუცდია ეროვნულ საზედამხედველო ორგანოთა/ოფისთა არსებობის უპირატესობა. ამგვარი ეროვნული ორგანოების მქონე სახელმწიფოებში განსხვავდება მათი ვალდებულებები და პასუხისმგებლობები. არსებობს განსხვავებული „მოდელები“: მაგალითად, ზოგი ეროვნული ორგანო განიხილავს და წყვეტს დიდ შემთხვევებს (ადგილობრივ დონეზე განხილვის გარეშე), ზოგი ადგილობრივი განხილვის შემდგომ გამოხატავს თავის ალტერნატიულ მოსაზრებას, სხვა კი ფუნქციონირებს საკონსულტაციო ორგანოს სახით და არ განიხილავს კონკრეტულ შემთხვევებს.

პოტენციური მიკერძოებულობა და ინტერესთა კონფლიქტი ადგილობრივ დონეზე, ალბათ, ყველაზე მნიშვნელოვანი მიზეზებია ეროვნული საზედამხედველო ორგანოების არსებობისთვის, თუმცა მოიძებნება სხვა შესაძლო უპირატესობებიც.

მოკლედ რომ ვთქვათ, ეროვნული საზედამხედველო ორგანოების შესაძლო უპირატესობები (რომლებიც გამომდინარეობს სხვადასხვა მიდგომიდან/მოდელიდან და, შესაბამისად, აუცილებლად არ ვრცელდება ყველა ქვეყანაზე/მოდელზე) ასეთია:

i. ეროვნულ ორგანოს/ოფისს შეუძლია, მოითხოვოს ან უზრუნველყოს მსგავსი შემთხვევების/სიტუაციების ერთნაირად განხილვა დაწესებულებებში;

ii. ბრალდებაზე განაცხადის გაკეთების ზღვარი შეიძლება მაღალი იყოს ადგილობრივ დონეზე. უფრო მარტივი იქნებოდა მიმართვა ეროვნული ორგანოსთვის, რომელიც განაცხადს პასუხისმგებელ ადგილობრივ ორგანოს გადასცემს განსახილველად, ან (თუ შესაძლებელია) თავად განიხილავს;

iii. ის იძლევა ადგილობრივად განხილული (სერიოზული) შემთხვევების შედეგსა და განხილვაზე დისკუსიის საშუალებას, რის გამოც დაწესებულებები ვალდებულნი არიან, ინფორმაცია მიაწოდონ ეროვნულ ორგანოს. შესაბამის დაწესებულებას/კომიტეტსა და ეროვნულ ორგანოს შორის დიალოგი ქვეყანაში გააუმჯობესებდა შემთხვევებთან გამკლავების ერთიან მიდგომას;

iv. მათ შეუძლიათ, მუშაობდნენ როგორც სააპელაციო ან ალტერნატიული მოსაზრების წარმდგენი ორგანოები;

v. მათ შეუძლიათ, გადაწყვიტონ „განსაკუთრებული“ შემთხვევების განხილვა, მაგალითად, თუ ჩართულია რამდენიმე დაწესებულება, ან თუ აშკარაა ინტერესთა კონფლიქტები;

vi. მათ შეუძლიათ, წარმოადგინონ მოსაზრება განსაკუთრებული ინტერესის ან სირთულის საკითხებზე/შემთხვევებზე;

vii. ეროვნულ ორგანოს შეუძლია, უზრუნველყოს შემთხვევათა სამართლიანად და მიუკერძოებლად განხილვა;

viii. მათ შეუძლიათ, უზრუნველყონ გამჭვირვალობა და ღიაობა, ისე, რომ არ ზღუდავდნენ კონფიდენციალურობის საჭიროებას;

ix. მათ შეუძლიათ, შეასრულონ „ცოდნის ბაზის“ ეროვნული საცავის როლი, ან ინდივიდუალური პირებისა თუ დაწესებულების მრჩევლის ფუნქცია, რაც ასევე გულისხმობს ზოგადი რჩევის მიცემას ანონიმური შემთხვევების, პროცედურებისა და სხვა საკითხების შესახებ;

x. მათ შეუძლიათ, შეაგროვონ „ეროვნული“ გამოცდილება, მათ შორის, გამოსცენ ყოველწლიური ეროვნული ანგარიშები, რომლებიც ეფუძნება ცნობილ შემთხვევებსა და გადაჭრილ საკითხებს;

xi. მათ შეუძლიათ, შეაგროვონ ცოდნა კვლევის კეთილსინდისიერებასთან დაკავშირებულ საერთაშორისო მოვლენებზე, სხვა ქვეყნების სპეციფიკურ შემთხვევებზე და ა.შ. და ეს ცოდნა გაუზიარონ სამეცნიერო საზოგადოებას, სამთავრობო ოფისებსა თუ სხვა ორგანოებს;

xii. ეროვნულ ორგანოს შეუძლია, უფრო მარტივად მონაწილეობდეს შესაბამის საერთაშორისო სხდომებსა თუ დისკუსიებში და გამოცდილებას უცვლიდეს სხვა შესაბამის/მსგავს ეროვნულ ორგანოებს;

xiii. მათ შეუძლიათ, საკონტაქტო პუნქტის ფუნქცია შეასრულონ

სამეცნიერო ჟურნალებისთვის, პროფესიული ასოციაციებისთვის და ა.შ., კვლევის კეთილსინდისიერების საკითხებსა ან რეალურ შემთხვევებთან დაკავშირებით;

xiv. მათ შეუძლიათ, საკონტაქტო პუნქტის ფუნქცია შეასრულონ კვლევის კეთილსინდისიერების სხვა ეროვნული ორგანოებისთვის, ევროპაში და მის გარეთ;

xv. მათ შეუძლიათ, განავითარონ ინიციატივები კვლევის არაკეთილსინდისიერების პრევენციისა და კარგი პრაქტიკის წახალისებისთვის;

xvi. ეროვნულ ორგანოს შეუძლია, წვლილი შეიტანოს თავის ქვეყანაში შესაბამისი კვლევის კეთილსინდისიერების ქსელების დაარსებასა და მხარდაჭერაში;

xvii. მათ შეუძლიათ, საჭიროებისამებრ, შეაფასონ და შეასწორონ „ეროვნული კვლევის კეთილსინდისიერების სისტემა“.

2010 წელს **ევროპულმა სამეცნიერო ფონდმა** გამოსცა შემაჯამებელი ანგარიში **„კვლევის კეთილსინდისიერების ხელშეწყობა ევროპაში“**. ანგარიში მოიცავდა სამუშაო ჯგუფის არაერთ რეკომენდაციასა და მოსაზრებას, რომლებიც შეეხებოდა კვლევის კარგი პრაქტიკის წამახალისებელ „სტრუქტურებს“, მათ შორის, კვლევის არაკეთილსინდისიერებასთან გამკლავებას.

დასკვნის ნაწილი მჭიდროდ უკავშირდება ეროვნულ საზედამხედველო ორგანოთა ზემოხსენებულ უპირატესობებს (გვ. 10):

> **სათანადოდ დაარსებულ კვლევის კეთილსინდისიერების ეროვნული მართვის სტრუქტურებს არაერთი საკითხის გადაწყვეტა შეუძლიათ თვითრეგულაციით [...]. ეროვნულ ოფისებს შეუძლიათ შესაბამისი რჩევის, მხარდაჭერისა და სახელმძღვანელო მითითებების მიწოდება, როგორც საჯარო, ისე კერძო კვლევითი სექტორებისთვის. ასევე შეუძლიათ, უზრუნველყონ საგამოძიებო პროცესების რეალური დამოუკიდებლობა და თანასწორობა შემთხვევათა ხელმისაწვდომობასა და დამუშავებაში, რაც ინტერესთა კონფლიქტების შანსს ამცირებს. მნიშვნელოვანია, რომ ეროვნულ მუდმივმოქმედ კომიტეტებს შეუძლიათ პროფესიული კომპეტენციის დახვეწა. მეტიც, ყველასთვის მკაფიოა მათი სამუშაო უფლებამოსილება GRP-სა *(კვლევის კარგი პრაქტიკა, სარედაქციო შენიშვნა)* და გამოძიებებთან მიმართებით. კვლევის კეთილსინდისიერების ამგვარი მართვა საერთაშორისო**

თანამშრომლობასა და ორმხრივ სწავლებასაც უწყობს ხელს. ამ განვითარებადმა სტრუქტურამ მაქსიმალურად უნდა გამოიყენოს შესაძლებლობები, რათა კავშირი დაამყაროს სხვა ეროვნულ ოფისებთანაც [...].

კვლევის არაკეთილსინდისიერებასთან გასამკლავებელი სისტემის (კომიტეტები და მსგავსნი) დაარსებისას, უნდა არსებობდეს მკაფიო მანდატი, როგორიცაა ოფიციალური ეროვნული/ადგილობრივი დადგენილება, წესდება, ან საკანონმდებლო მხარდაჭერა. იგი ნათლად უნდა აღწერდეს იმასაც, თუ როგორ ინიშნებიან წევრები, რა როლი და პასუხისმგებლობა აქვთ მათ, როგორია ვადის ხანგრძლივობა და ექნებათ თუ არა ხელახლა დანიშვნის შესაძლებლობა.

ზოგ ქვეყანაში კომიტეტები მხოლოდ გამოძიებით არიან დაკავებულნი, ზოგან კი, შესაძლოა, ასევე პასუხისმგებელნი იყვნენ არაკეთილსინდისიერების პრევენციაზე, კვლევის კეთილსინდისიერების წახალისებასა და, ზოგადად, კვლევის ეთიკაზე.

კომიტეტებს უნდა ჰქონდეთ აღიარებული ავტონომიურობა და დამოუკიდებლობა.

არსებითად მნიშვნელოვანია, რომ (ეროვნული და/ან ადგილობრივი) კომიტეტის ან მსგავსი ორგანოს შექმნის შემდეგ, არ დაუშვან გარე გავლენა ან ჩარევა გამოძიების პროცესსა ან შედეგზე, გადაწყვეტილებაზე და ა.შ.

ჩართული დაწესებულებები ან ორგანოები მაქსიმუმს უნდა აკეთებდნენ გამოძიებაში ჩართულ კომიტეტის წევრთა ან სხვათა (მაგალითად, ექსპერტთა) მხარდასაჭერად, ასევე, შურისძიებისა ან არასწორი მოპყრობისგან დასაცავად. უნდა არსებობდეს სისტემა, რომელიც ნათლად მიუთითებს, უზრუნველყოფილია თუ არა სამართლებრივი ან სხვა ტიპის დაცვა ისეთი კონფლიქტისას, რომელშიც ჩართულია კომიტეტის წევრი.

გასათვალისწინებელია შემდეგი ასპექტები

თვითრეგულაცია ან კანონიერად დაფუძნებული სისტემები ნებაყოფლობით დაფუძნებულთა წინააღმდეგ

კვლევის კეთილსინდისიერების სახელმძღვანელო მითითებები არ ასრულებს იმავე როლს ან ფუნქციას, რასაც კანონმდებლობა. სახელმძღვანელო მითითებები, პირველ რიგში, ერთგვარი ინსტრუმენტია მკვლევრებისა და სამეცნიერო საზოგადოებისთვის. ისინი ადგენენ

მკვლევართა მიერ გასათვალისწინებელ შესაბამის ფაქტორებს და თან აღიარებენ, რომ მკვლევრებს ხშირად უწევთ სხვადასხვა ფაქტორის შეწონა ერთმანეთთან, ასევე, სხვა მოთხოვნებსა და ვალდებულებებთან.

განსხვავება კვლევის კეთილსინდისიერების შესახებ კანონსა და სახელმძღვანელო მითითებებს შორის ხშირად ბუნდოვანია. ორივე მათგანი ნორმატიულია, თუმცა კვლევის კეთილსინდისიერება ან კვლევის პასუხისმგებლობით წარმართვა, პირველ რიგში, ადგენს, თუ რა უნდა გაითვალისწინონ და გააკეთონ მკვლევრებმა პასუხისმგებლიანი კვლევისთვის. კვლევის კეთილსინდისიერება შეესაბამება აკადემიური თვითრეგულაციის პრინციპს. თვითრეგულაციის კონცეფციის მიხედვით, კვლევის კეთილსინდისიერებაზე პირველადი პასუხისმგებლობა ეკისრებათ მკვლევრებსა და კვლევით დაწესებულებებს. თვითრეგულაცია და/ან აკადემიური თავისუფლება მოვალეობებსა და ვალდებულებებს არ გამორიცხავს.

ქვეყნების უმეტესობაში წლებია, დამკვიდრებულია თვითრეგულაცია (ერთადერთი მარეგულირებელი).

ბოლო 10-20 წელიწადში ევროპისა და მის გარეთ მდებარე არაერთმა ქვეყანამ კანონით დააწესა კვლევისა და მკვლევრების რეგულაცია, თუმცა ის მაინც დიდწილად ეყრდნობა თვითრეგულაციას (გარკვეული ხარისხით). მსგავსი საკანონმდებლო რეგულაცია ეფუძნება ორმხრივ შეთანხმებებს ან ნებაყოფლობით დაფუძნებულ სისტემებს, ანდა კანონმდებლობას. კანონმდებლობა ხშირად ფოკუსირებულია აკრძალვებზე, ან რეაგირებაზე (ჯარიმებით ან სანქციებით), თუ ვინმე კანონს დაარღვევს, მაგრამ ძალიან ხშირად ის მიუთითებს სხვადასხვა ნორმაზე: ამ შემთხვევაში, ეს არის კვლევის კეთილსინდისიერების ნორმები, კვლევის პასუხისმგებლობით წარმართვის ნორმები, ან ნორმები, რომლებიც უკავშირდება კვლევის არაკეთილსინდისიერების გამოვლინებაზე ბრალდების განხილვას. ამ გზით, კანონმდებლობა ან სხვა რეგულაციები, მათ შორის, ნებაყოფლობით დაფუძნებული სისტემაც, მხარს უჭერს როგორც მკვლევართა, ისე პასუხისმგებელ დაწესებულებათა ქცევაზე ფოკუსირებულ თვითრეგულაციას.

რეგულაციებსა (მაგ. კანონმდებლობა) და თვითრეგულაციას შორის ბალანსი ძალიან განსხვავდება ევროპის ქვეყნებს შორის, მათი განსხვავებული ტრადიციებიდან და ღირებულებებიდან გამომდინარე. ამის გამო, ადგილი აღარ რჩება საერთო რეკომენდაციისთვის, მიუხედავად იმისა, რომ რეკომენდებულია (გარე) რეგულაციებსა და (შიდა) თვითრეგულაციებს შორის ბალანსის განხილვა და შეფასება.

4

ინტერესთა კონფლიქტები

გამოძიებაში ჩართული პირები ობიექტურნი და მიუკერძოებელნი უნდა იყვნენ ბრალდებათა განხილვისას. ნებისმიერი რეალური თუ სავარაუდო ინტერესთა კონფლიქტი (CoI) ან მიკერძოება უნდა აირიდონ, ან გამჟღავნდეს და აღმოიფხვრას კომიტეტების ან პანელის წარმომადგენელთა თუ ექსპერტთა დანიშვნისა და გამოძიებისას. გამოძიების მთელ პროცესში ინტერესთა კონფლიქტი გამჭვირვალედ უნდა განიხილებოდეს და თუკი გამოვლინდება, გამჟღავნდეს და აღმოიფხვრას. ბრალდებებზე მომუშავე კომიტეტის წევრების, შიდა ან გარე ექსპერტებისა და სხვათა ინტერესთა კონფლიქტის გამოვლინებები დოკუმენტურად უნდა აღირიცხოს პროცესის გამჭვირვალობისთვის.

5

საგამოძიებო კომიტეტთა შემადგენლობა და კომპეტენცია

გამოძიებაში უნდა მონაწილეობდნენ კომპეტენტური მკვლევრები/კოლეგები. საგამოძიებო კომიტეტის შემადგენლობაში უნდა იყვნენ კვლევითი საზოგადოების წევრები, რომელთაც აქვთ შესაბამისი ცოდნა საგნის შესახებ, ასევე, სამართლის ექსპერტები და კვლევის კეთილსინდისიერების სფეროში საგანგებო კომპეტენციის/გამოცდილების მქონე სხვა პირები, თუ ეს საჭირო ან გამოსადეგია.

მიკერძოების რისკის შესამცირებლად, ადგილობრივმა კომიტეტებმა განსახილველი დაწესებულების გარეთაც უნდა მოიძიონ დამოუკიდებელი წევრები. ეროვნული კომიტეტები/ორგანოები ასევე უნდა განიხილავდნენ დამოუკიდებელი წევრების ჩართვას სხვა ქვეყნებიდან. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შედარებით პატარა დაწესებულებებისა და ქვეყნებისთვის.

ასეთი პატარა დაწესებულებები უნდა განიხილავდნენ საერთო კომიტეტების შექმნას სხვა დაწესებულებებთან ერთად, ან უფრო დიდ დაწესებულებათა კომიტეტებთან გაერთიანებას.

შიდა ან გარე ექსპერტები კომიტეტის წევრებს მაშინ უნდა დაემატონ (სპეციფიკური გამოძიებისას), როცა კვლევის კონკრეტული დარგისთვის საჭირო პროფესიული ან სხვა ტიპის კომპეტენცია ნაკლულია.

ზოგადად გაზრდის კომიტეტისადმი მიმღებლობასა და ნდობას გამოძიებაში ჩართულ ყველა მხარეს შორის.

რეკომენდებულია მუდმივმოქმედი კომიტეტების არსებობა ad hoc კომიტეტების საპირწონედ. თავმჯდომარისა და მისი მოადგილის მანდატი, ისევე, როგორც კომიტეტის სხვა წევრების მანდატები, მკაფიო უნდა იყოს. ეს მოიცავს როლების/პასუხისმგებლობების, საზღვრებისა თუ ვადების დაკონკრეტებას და მკაფიოდ აღწერას მისი წევრებისთვის.

კომიტეტის წევრები უნდა დაინიშნონ სათანადო ბალანსის დაცვით ქალებსა და კაცებს, ახალგაზრდებსა და უფროსებს და სხვადასხვა საკვლევ სფეროს შორის.

უმჯობესია, ერთ ან მეტ წევრს ჰქონდეს სამუშაო გამოცდილება კვლევის არაკეთილსინდისიერების ან/და კვლევის პასუხისმგებლობით წარმართვის დარღვევებზე.

კომიტეტები უნდა შედგებოდეს პირებისგან, რომლებსაც აქვთ ფართო და შესაფერისი აკადემიური ცოდნა ბრალდებებთან დაკავშირებით და, იდეალურ შემთხვევაში, სულ ცოტა, ერთი ან ორი ისეთი პირისგან, რომელთაც გამოუძიებიათ წინა შემთხვევები.

გასათვალისწინებელია შემდეგი ასპექტები

ზოგ ქვეყანაში კომიტეტების უმეტესობა მუდმივმოქმედია, თუმცა სპეციფიკურ საკითხზე მუშაობისას მათ ხშირად უწევთ ექსპერტთა მოხმობა განსახილველი სფეროდან. გამოძიების მიმდინარეობისას ექსპერტები შეიძლება კომიტეტის შემადგენლობაში შედიოდნენ, ან ამა თუ იმ შემთხვევის დროს ერთვებოდნენ. დასაშვებია შიდა ექსპერტების მუშაობაც, თუმცა, შესაძლო ინტერესთა კონფლიქტის გამო, უპირატესობა გარე ექსპერტებს ენიჭებათ.

„კოლეგათა ერთობლივ ორგანოებში/კომიტეტებში“ დისკუსიები უპირატესობაა. საგამოძიებო კომიტეტი კვლევითი საზოგადოების წარმომადგენლის როლსაც უნდა ასრულებდეს. მისი თავდაპირველი მიზანია კვლევის კეთილსინდისიერების დაცვა, ასევე, სამართლიანი და კანონიერი პროცესის უზრუნველყოფა ჩართული პირებისთვის. სხვა სიტყვებით: „ლეგიტიმაცია და სანდოობა“ გადამწყვეტია და კიდევ ერთ

საფუძველს ქმნის დამოუკიდებლობისათვის და გამოძიებაში არასაჭირო ჩარევის გამოსარიცხად.

კომიტეტთა წევრებს მკაფიოდ უნდა აღუწერონ მათი როლი, ასევე, რა დრო შეიძლება დასჭირდეს საგამოძიებო პროცესის დასრულებას. კომიტეტი არ უნდა შედგებოდეს ძალიან ცოტა ადამიანისგან (თუმცა, ამა თუ იმ შემთხვევაში შეიძლება გაფართოვდეს კონკრეტული კომპეტენციის მქონე ექსპერტთა ჩართვით). მეორე მხრივ, ძალიან დიდი კომიტეტებიც სირთულეებს ქმნის.

> *კომიტეტი უნდა შედგებოდეს ადეკვატური რაოდენობის პირებისგან. 3-7 ადამიანი შეიძლება საკმარისად ჩაითვალოს.*
>
> *შეძლებისდაგვარად, უნდა აღიარონ კომიტეტის წევრთა მიერ გაწეული სამსახური (შემთხვევის კონფიდენციალური ინფორმაციის გაუმჟღავნებლად), მაგალითად, განყოფილების უფროსებისათვის გაგზავნილი სამადლობელი წერილით, დაწესებულებაში კეთილსინდისიერების წახალისებაში შეტანილი წვლილისთვის.*

> *მკაფიოდ უნდა აღიწეროს, რა გარემოებებში და როგორ უნდა გამოიყენონ გარე ექსპერტები მრჩევლებად გამოძიებაში. უნდა განიხილებოდეს ანაზღაურების შეთავაზება გარე ექსპერტთათვის, მიკერძოებულობის ან ინტერესთა კონფლიქტის გამოსარიცხად.*

კომიტეტის თავმჯდომარე ხშირად გამოცდილი მკვლევარი ან/და იურიდიული განათლების მქონე პირია. ყველაზე მნიშვნელოვანია, თავმჯდომარეს ჰქონდეს სამართლიანობის, ობიექტურობისა და ინფორმაციის მიუკერძოებლად შეფასების უნარი, ყველა ჩართული პირისადმი პატივისცემასთან ერთად.

6

გამჭვირვალობა კონფიდენციალურობის წინააღმდეგ

> *გამჭვირვალობა და ღიაობა უნდა შენარჩუნდეს იმ პირობით, რომ ეს არ ეწინააღმდეგება (ეროვნულ) რეგულაციებს.*

გამოძიებათა გამჭვირვალობისა და კონფიდენციალურობის კუთხით, ტრადიციები და კანონიერი უფლებამოსილებები ევროპაში განსხვავდება.

გასათვალისწინებელია შემდეგი ასპექტები

არსებობს ორი მთავარი მიდგომა:

- შემთხვევები კონფიდენციალურად განიხილება და გადაწყვეტილებებიც, ზოგადად, არ საჯაროვდება;
- შემთხვევები კონფიდენციალურად განიხილება (პროცესის განმავლობაში) და გადაწყვეტილებები, როგორც წესი, ანონიმურად საჯაროვდება ჩართული პირების (და, ზოგჯერ, დაწესებულებებისაც) შესახებ.

ადმინისტრაციული კანონმდებლობის მიხედვით, ზოგ ქვეყანაში საზოგადოებას უფლება აქვს, სრულად მიუწვდებოდეს ხელი გადაწყვეტილებებზე, ძირითად დოკუმენტებზეც კი (მათ შორის, სახელებზე/ვინაობაზე).

გასათვალისწინებელია, სულ ცოტა, ორი განსხვავებული ან ურთიერთსაწინააღმდეგო რამ: ჩართულ ინდივიდთა (მხარეთა) დაცულობა და კვლევის ხარისხისა და კეთილსინდისიერების დაცულობა. ზოგი მიიჩნევს, რომ სახელების გამჟღავნება შესაძლოა „სამუდამო პატიმრობით“ დასრულდეს და მკვლევრის კარიერა დაინგრეს. სხვების აზრით კი, კვლევითმა საზოგადოებამ უნდა იცოდეს იმ ადამიანთა სახელები, რომლებმაც კვლევისას (სერიოზული) არაკეთილსინდისიერება გამოავლინეს. ამის ერთი მიზეზი, ნდობის გარდა, არის ის, რომ მკვლევრები ხშირად არასწორად იყენებდნენ სახელმწიფო დაფინანსებას და არღვევდნენ საზოგადოების ნდობას. მეორე მიზეზია ის, რომ მათ (დაკისრებული სანქციების და ა.შ. მიუხედავად) შეუძლიათ, იოლად გადაინაცვლონ სხვა დაწესებულებასა თუ ქვეყანაში და „ინკოგნიტოდ“ განაახლონ საქმიანობა სერიოზული დარღვევებით, მოიპოვონ დაფინანსება, გახდნენ დამკვირვებლები და ამგვარად განაგრძონ მიუღებელი მოქცევა. მართალია, ზოგი ახერხებს რეპუტაციის აღდგენას და აღარ იქცევა მიუღებლად, თუმცა სხვები შეიძლება აგრძელებდნენ კვლევას საერთაშორისო ნორმებისთვის მიუღებელი ხერხებით.

რომ შევაჯამოთ, სახელების გამჟღავნება იოლი საკითხი არ არის და დილემებს წარმოშობს. ამდენად, პროცედურებისა და პოლიტიკების შემუშავებისას უნდა განიხილებოდეს სხვადასხვა შესაძლო შედეგი.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ (სერიოზული) ბრალდებები არ უნდა

განიხილებოდეს დახურულ კარს მიღმა ან/და შესაბამისი პროცედურების გარეშე. ზოგჯერ პასუხისმგებელი დაწესებულება ან სხვა შესაბამისი ორგანო (ფიქრობს, რომ) დაინტერესებულია ბრალდების კონფიდენციალურად შენახვით და შეიძლება, ჩართულ მხარეთა (მაგ. პატიოსანი მამხილებელი და ბრალდებული მკვლევარი) მორიგებაც სცადოს. მსგავსი შეთანხმებები ან მედიაცია შეიძლება შესაფერისი იყოს მცირე დარღვევათა განხილვისას. თუმცა, როდესაც კვლევის არაკეთილსინდისიერებასა ან სხვა სერიოზულ დარღვევაზე ვსაუბრობთ, უშუალოდ ჩართულ მხარეებზე მეტად, რისკი ექმნება სხვა ინტერესებს (საზოგადოების ნდობა კვლევის მიმართ, კვლევის შედეგებზე ანგარიშის ჩასწორება და სხვა). მაშასადამე, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს პროცესის წარმართვას არა დახურულ კარს მიღმა, არამედ ღიად და ანგარიშვალდებულებით.

7

ბრალდების განცხადებებისა და შემაშფოთებელი საკითხების მიღება, მითითებათა გაცემასთან ერთად[2]

ზოგადად, რეკომენდებულია, შესაძლებელი იყოს კონფიდენციალური რჩევის მიღება ნეიტრალური ადამიანისგან (მაგ. ომბუდსმენი ან მრჩეველი, რომელსაც ენდობა და საიმედოდ მიიჩნევს კვლევითი საზოგადოება), სანამ გადაწყდება, უნდა გაკეთდეს თუ არა ფორმალური განცხადება ბრალდების შესახებ.

მომჩივნებისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს პერსონალური რჩევა-დარიგება - მაგალითად, საჩივრის შეტანამდე. ამას შეიძლება სთავაზობდეს ომბუდსმენი, ან სხვა სანდო, „ნეიტრალური“ პირი საკვლევ დაწესებულებაში, რომელსაც ეცოდინება ადგილობრივი და/ან ეროვნული პროცედურები კვლევის კეთილსინდისიერების შესახებ.

ზოგჯერ შეიძლება წახალისდეს შემაშფოთებელი საკითხების გამჟღავნება, თუ პირველი მითითებები დაეფუძნება საეჭვო საკითხის „ანონიმურ“ ან ჰიპოთეზურ აღწერას, შეკითხვის დასმას მის შესახებ და/ან გასაუბრებას დახმარების ცენტრის/ცხელი ხაზის, მეილის თუ ტელეფონის მეშვეობით.

შესაძლო შედეგები, რომლებიც მოჰყვება შემაშფოთებელი საკითხების წამოჭრას/ბრალდების განცხადების კეთილსინდისიერად და კეთილი განზრახვით გაკეთებას, მათ შორის, პროცესის დარჩენილი ნაწილის

ENRIO გეგმავს დამატებითი რეკომენდაციების გამოქვეყნებას პატიოსან მამხილებელთა დაცვის შესახებ.

აღწერილობა, საჯარო და მარტივად ხელმისაწვდომი უნდა იყოს, მაგალითად, ვებგვერდის საშუალებით. ასევე უნდა აღინიშნოს შესაძლო რეაგირება ბოროტი განზრახვის მქონე ან არაპატიოსან საჩივრებზე, შედეგების აღწერით (მაგ. ეს არის მიუღებელი პრაქტიკის ან სულაც არაკეთილსინდისიერი კვლევის ფორმა).

ბრალდების განცხადების გაკეთების წესი, ასევე, თუ ვის უნდა მივმართოთ (საკონტაქტო პირი) ამა თუ იმ შესაფერის (მაგ. ადგილობრივ ან ეროვნულ) დონეზე, უნდა იყოს მკაფიო და კარგად ჩამოყალიბებული.

იმ პირთა შერჩევამდე/დანიშვნამდე, რომლებიც იღებენ კითხვებს, შემაშფოთებელ საკითხებსა და ბრალდების განცხადებებს, მკაფიოდ უნდა დადგინდეს მათთვის მოთხოვნილი კომპეტენცია, გამოცდილება და შესაბამისი მომზადება.

ბრალდების განცხადების მიღებისას, საგამოძიებო/მრჩეველმა ან მსგავსმა ორგანომ დაუყოვნებლივ უნდა განიხილოს, თუ როგორ დაიცავს ჰოტენციური სამაგიეროს გადახდისგან ადამიანს, რომელმაც შემაშფოთებელი საკითხები წამოჭრა.

ნებისმიერი პროცედურა, სულ ცოტა, უნდა აკონკრეტებდეს:

- *ვის უნდა წარედგინოს ბრალდების განცხადებები.*
- *ვისგან უნდა მიიღებოდეს ასეთი განცხადებები.*
- *მიიღება თუ არა ანონიმური განცხადებები.*
- *მიიღება თუ არა განცხადებები მესამე მხარისგან (მაგ. მომჩივნის წარმომადგენელი ადვოკატისგან).*
- *რა ფორმით მიიღება ეს განცხადებები (ზეპირად, წერილობით, თუ ელექტრონულად).*

შეიძლება სასარგებლო აღმოჩნდეს წერილობითი ნიმუშის არსებობა ბრალდების განცხადების წარსადგენად. ამგვარი შაბლონი შეიძლება მოიცავდეს სახელმძღვანელო მითითებებსაც:

- *მამხილებლის (მომჩივნის) ნებისმიერი დამატებითი პასუხისმგებლობა ან ვალდებულებები გამოკვეთილი უნდა იყოს. იგივე ვრცელდება, თუ პატიოსანი მამხილებლის პასუხისმგებლობას ან ვალდებულებებს სხვები იკისრებენ.*
- *პროცედურის გასაგებად, მომჩივანმა უნდა მიიღოს შესაბამისი წესების ასლი.*

- *შესაძლებელია თუ არა, პასუხისმგებელმა ორგანომ ბრალდების განცხადების გარეშე ჩაატაროს გამოძიება, თავისი ინიციატივით (მაგ. ახალ ამბებზე/მედიის, სოციალური ქსელების, ფორუმების ინფორმაციაზე დაყრდნობით).*

8

ბრალდების განცხადებათა განხილვა

- *რეკომენდებულია, კვლევის კეთილსინდისიერების დარღვევასთან (როგორიცაა FFP ან მსგავსი სერიოზული დარღვევები) დაკავშირებული ყველა ბრალდება (დასაბუთებული, თუ საფუძვლიან ეჭვზე დაფუძნებული) განიხილებოდეს შესაბამისი ქცევის კოდექსების/საერთო სახელმძღვანელო მითითებებისა და განსაზღვრული პროცედურების მიხედვით.*
- *შესაძლო სერიოზულ დარღვევებთან (კვლევის არაკეთილსინდისიერება) დაკავშირებული პროცედურები და პროცესები უნდა იყოს დეტალური, სამართლიანი, ამომწურავი, ყოვლისმომცველი და ობიექტური.*

- *არც კვლევის უპასუხისმგებლო და მიუღებელი პრაქტიკა უნდა დარჩეს რეაგირების გარეშე, თუმცა არა აუცილებლად იმავე მეთოდით, რომლითაც ტარდება სერიოზულ დარღვევათა გამოძიებები, განსაზღვრული კვლევის არაკეთილსინდისიერებად.*
- *პროცედურა უნდა აკონკრეტებდეს, თუ რომელი დაწესებულება უნდა უძღვებოდეს ან წარმართავდეს გამოძიებებს (მაგალითად, დაწესებულების ოფისი, ეროვნული ორგანიზაცია, ან დამოუკიდებელი ორგანო).*

არსებობს ბევრი სხვადასხვა სახის მიუღებელი პრაქტიკა თუ მცირე დარღვევა. ზოგი შეიძლება პირდაპირ არ ამახინჯებდეს კვლევის ანგარიშს, თუმცა აზიანებდეს მკვლევართა რეპუტაციას და საზოგადოების ნდობას კვლევის მიმართ. არაერთი სწავლება მოწმობს, რომ კვლევის მიუღებელი პრაქტიკები უფრო ფართოდ არის გავრცელებული, ვიდრე FFP და, ამდენად, უფრო საზიანოა კვლევითი საქმიანობისთვის. ამ მიზეზით:

მნიშვნელოვანია, მიუღებელ პრაქტიკებთან დაკავშირებული ბრალდების განცხადებების შესაფერისად და დაწვრილებით განხილვა და, ამგვარად, კვლევის კეთილსინდისიერების უზრუნველყოფა. ეს, ძირითადად, შესაბამისი პროცედურების მქონე ადგილობრივი/შიდა დაწესებულების პასუხისმგებლობაა.

გასათვალისწინებელია შემდეგი ასპექტები

სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებული მიდგომა გამოიყენება იმის გადაწყვეტისას, თუ რა ნაბიჯები უნდა გადაიდგას, ან რა ეტაპები უნდა განხორციელდეს. ზოგ ქვეყანაში მკაცრად არის გამიჯნული პასუხისმგებლობები, მაგალითად, ის პროცედურები/წესები, რომლებიც მიემართება შემთხვევათა განხილვის სხვადასხვა ფაზაში მონაწილე პირებს, ზოგან კი შეიძლება ყველა ეტაპზე ერთი და იგივე კომიტეტი იღებდეს გადაწყვეტილებას. ხშირად ეტაპებიც სხვადასხვანაირად კლასიფიცირდება, მაგალითად: ა) ფაქტების მოძიება/შემოწმება, შეფასება/შემოწმება, ან წინასწარი მოკვლევა; ბ) გადაწყვეტილების მიღების პროცესი/დეტალური გამოძიებები და ა.შ. ნებისმიერ შემთხვევაში, კომიტეტის წევრებს უნდა აღუწერონ და აუხსნან მკაფიო კრიტერიუმები ერთი ეტაპიდან მეორეზე გადასასვლელად. ამ განსხვავებების მიუხედავად, არსებობს საერთო მიზანი - პირველ რიგში, შეფასება, ექცევა თუ არა ბრალდება კვლევის არაკეთილსინდისიერების (ან უპასუხისმგებლო პრაქტიკის) ჩარჩოში, და თუ ასეა, გამოძიების დაწყება და სიმართლის გამოაშკარავება ბრალდების შესახებ.

მართალია, ბრალდების განცხადებები დაწვრილებით უნდა განიხილებოდეს, თუმცა ასევე უკიდურესად მნიშვნელოვანია, პროცესი წარიმართოს სწრაფად, თითოეული პროცედურული ეტაპისთვის განსაზღვრულ ვადაში. მაშასადამე, გასათვალისწინებელია შესაბამისი ბალანსის დაცვა დაწვრილებით განხილვასა და სისწრაფეს შორის.

პროცედურები: საკვანძო/ძირითადი პრინციპები

პროცედურები უნდა ასახავდეს პრინციპებს, რომლებსაც გვთავაზობს OECD-ის მეცნიერების მსოფლიო ფორუმი „კვლევის არაკეთილსინდისიერების ბრალდებათა გამოძიება საერთაშორისო თანამშრომლობის კვლევით პროექტებში“.[3] ქვემოთ ეს პრინციპები უმეტესად სიტყვასიტყვით და, ნაწილობრივ, პერიფრაზით არის გადმოცემული, შესაბამის შემთხვევებში, მცირე დამატებებით.

[3] OECD-ის გლობალური ფორუმი. „კვლევის არაკეთილსინდისიერების ბრალდებათა გამოძიება საერთაშორისო თანამშრომლობის კვლევით პროექტებში“. პრაქტიკული სახელმძღვანელო. აპრილი 2009, 6.

პროცესის კეთილსინდისიერება

კვლევის არაკეთილსინდისიერების ბრალდებათა გამოძიება უნდა იყოს სამართლიანი, ამომწურავი, და ჩატარდეს უკომპრომისო სიზუსტით, ობიექტურად და ზედმიწევნით. გამოძიებას ხშირად დიდი დრო სჭირდება, რაც შეიძლება დამღლელი გახდეს ჩართული მხარეებისთვის.

პროცედურაში ჩართული მხარეები, განსაკუთრებით, რომლებიც გამოძიებას ატარებენ ან პროცესს ეხმარებიან, უნდა დარწმუნდნენ, რომ მათი ნებისმიერი ინტერესი, რომელმაც შეიძლება წარმოშვას ინტერესთა კონფლიქტი, გამჟღავნებულია და მართული.

პროცედურის ყველა ასპექტზე უნდა წარმოებდეს დეტალური და კონფიდენციალური ანგარიშები. ბრალდებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მტკიცებულება უნდა შეგროვდეს სათანადო ადგილობრივი კანონების/სახელმძღვანელო მითითებების მიხედვით. მანიპულაციების ასაცილებლად, მტკიცებულება დაცული უნდა იყოს მთელი პროცესის განმავლობაში. ასევე გასათვალისწინებელია უსაფრთხო წვდომის უზრუნველყოფა დაცულ მტკიცებულებებზე, რათა სადაც საჭიროა, გაგრძელდეს მუშაობა.

უნდა გატარდეს შესაბამისი ზომები, რათა გამოძიება დასრულდეს დასკვნის გამოტანით.

ერთგვაროვნება

არაკეთილსინდისიერების შემთხვევათა განხილვის პროცედურები საკმარისად დეტალურად უნდა გაიწეროს, რათა უზრუნველყოფილი იყოს პროცესის გამჭვირვალობა და ერთგვაროვნება ამა თუ იმ შემთხვევისთვის, ერთი იურისდიქციის ფარგლებში.

გამჭვირვალობა ასევე მნიშვნელოვანია ერთგვაროვნების დასაცავად, როცა სხვადასხვა დაწესებულებებში მსგავს შემთხვევებზე მუშაობენ. ეს უზრუნველყოფს პროცედურების თანმიმდევრულ გამოყენებას.

სამართლიანობა

კვლევის არაკეთილსინდისიერების ბრალდებათა გამოძიება ყველა მხარის მიმართ სამართლიანად უნდა ჩატარდეს, შესაბამისი კანონებისა თუ რეგულაციების

მიხედვით. პროცესუალური ნორმები ან პროცედურული სამართლიანობის პრინციპები პოლიტიკის დოკუმენტებში უნდა აღიწეროს.

კვლევის არაკეთილსინდისიერებაში დადანაშაულებულ ადამიანებს წერილობით უნდა მიაწოდონ ბრალდების სრული დეტალები. მათთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს სამართლიანი პროცესი, როცა საქმე ეხება ბრალდებაზე პასუხის გაცემას, კითხვების დასმას, მტკიცებულების წარდგენას, მოწმეთა გამოძახებას (არსებობის შემთხვევაში) და პასუხს წარმოდგენილ ინფორმაციასა და მტკიცებულებებზე.

მოწმეებს (არსებობის შემთხვევაში) უნდა ახლდეს ან რჩევასა და დახმარებას აწვდიდეს მათივე არჩეული ნებისმიერი პირი (მაგ. კოლეგა, ადვოკატი ან სხვა).

ყველა ინსტიტუციური ან ეროვნული პროცედურა არ მოიცავს ზეპირ ჩვენებას/მოსმენას და/ან მოწმეთა ჩართულობას, თუმცა, ENRIO-ს წევრთა გამოცდილებით, ეს ყველაფერი გამოსადეგი და ხანდახან გადამწყვეტიც არის გამოძიების დასასრულებლად. უნდა გაითვალისწინონ ინტერვიუს ჩაწერაც (მასში მონაწილე ადამიან(ებ)ის თანხმობის შემდეგ), ჩანაწერის სიზუსტეში დასარწმუნებლად და კამათის ასაცილებლად.

შესაძლებელი უნდა იყოს ნებისმიერი სანქციის ან მიღებული ზომის გასაჩივრება.

ზოგ ევროპულ ქვეყანაში გამოძიების დასკვნის გასაჩივრება შეუძლებელია, თუმცა ჩვეულებრივ (სულ ცოტა, რამდენიმე ქვეყანაში), ნებისმიერი დაწესებული სანქციის გასაჩივრება შეიძლება კანონის მიხედვით.

უნდა არსებობდეს უფლებამოსილი ორგანო, რომელიც მიიღებს საბოლოო გადაწყვეტილებას.

კონფიდენციალურობა

პროცედურა (მაგალითად, გამოძიება) შეძლებისდაგვარად კონფიდენციალურად უნდა წარიმართოს მასში ჩართულ მხარეთა დასაცავად (მათ შორის იგულისხმება განცხადების წარმდგენი პირი, ბრალდებული, მოწმე და ვინც იძიებს ბრალდებებს, როგორც კომიტეტის/სხდომის წევრი). კონფიდენციალურობა დაცული უნდა იყოს იმის გათვალისწინებით, რომ საფრთხე არ შეექმნება ბრალდების გამოძიებას, ან

კვლევის მონაწილეთა ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებას.

როცა გამოძიებასთან დაკავშირებული ინფორმაციის გამჟღავნება აუცილებელია, ეს ინფორმაცია მესამე მხარეს კონფიდენციალურად უნდა გაუმხილონ.

თუ ორგანიზაციასა და/ან მის წევრებს კანონი ავალდებულებს მესამე მხარის ინფორმირებას კვლევის არაკეთილსინდისიერებაზე, ეს ვალდებულება უნდა აღსრულდეს შესაფერის დროს და სწორი მექანიზმებით, კონფიდენციალურობის შეძლებისდაგვარად დაცვით.

გასათვალისწინებელია სპონსორებიც, რომელთაგანაც შეიძლება გამოითხოვონ საგრანტო ხელშეკრულების პირობები დაფინანსებული კვლევების შემთხვევაში.

დაუზიანებლობა

კვლევის არაკეთილსინდისიერებაში ბრალდებული ადამიანი უდანაშაულოა, სანამ საწინააღმდეგო არ დამტკიცდება.

კვლევის არაკეთილსინდისიერებაში ბრალდებულ არცერთ პირს არ უნდა დაეკისროს რამე სასჯელი, სანამ ბრალი არ დაუმტკიცდება.

შესაძლო სააპელაციო პროცესის დასრულებამდე, საჭიროა სიფრთხილის გამოჩენა სასჯელის ან მისი შედეგების მიმართ.

არცერთ პირს არ უნდა დაეკისროს სასჯელი ან მიადგეს ზიანი კვლევის არაკეთილსინდისიერებაზე ბრალდების კეთილსინდისიერად და კეთილი განზრახვით წარდგენის გამო, მაგრამ თუკი განაცხადი ბოროტი განზრახვით გაკეთდა[4], უნდა გატარდეს შესაბამისი ზომები.

ბალანსი

საგამოძიებო კომიტეტს ან პანელს შეიძლება დასჭირდეს ბალანსის დაჭერა ვინაობის გამჟღავნებასა და კონფიდენციალურობის დაცვას შორის. მსგავსი გადაწყვეტილებების მიღებისას აუცილებლად გასათვალისწინებელია, რომ გამოძიების (პროცესის) უპირველესი მიზანია, დადგინდეს ბრალდების ჭეშმარიტება.

[4] ENRIO გეგმავს დამატებითი რეკომენდაციების გამოქვეყნებას პატიოსან მამხილებელთა დაცვის შესახებ.

გასათვალისწინებელია არასწორად ბრალდებულთა რეპუტაციის გონივრულად და შესაფერისად აღდგენაც. კვლევის არაკეთილსინდისიერებაში ბრალდებულ და უდანაშაულოდ მიჩნეულ პირებს უნდა შეუთანხმონ მათი რეპუტაციის აღსადგენი ქმედებები, სანამ რაიმე მსგავსს მოიმოქმედებენ. ხანდახან საჭირო ხდება სხვა პირთა რეპუტაციის აღდგენაც, მაგალითად, თანაავტორების, ან სხვა დამხმარე მკვლევრების.

პროპორციული ზომები უნდა გატარდეს კვლევის არაკეთილსინდისიერებაში დამნაშავე პირთა მიმართ.

ბრალდების განცხადებათა განხილვის სხვადასხვა ეტაპი

ბრალდებების განხილვა სხვადასხვა ეტაპს მოიცავს, განსაკუთრებით, როცა საქმე ეხება FFP-ს მსგავს სერიოზულ დარღვევებს. ზოგ დაწესებულებას და/ან ქვეყანას ფორმალური მოთხოვნები და მკაცრი მიჯნები აქვს განსაზღვრული ნაბიჯებსა ან ეტაპებს შორის (მაგ. თავდაპირველი შეფასება/წინასწარი მოკვლევა, ფაქტების მოძიება და გამოძიება, შესაბამისი/გადაწყვეტილების მიღება და ა.შ.). სხვა ქვეყნებში საქმისწარმოებას უძღვებიან ეტაპების მკაფიო გამიჯვნის გარეშე. პირველ *სურათზე* იხილავთ კვლევის არაკეთილსინდისიერებაზე ბრალდების განხილვის პროცესის მოდელს, სადაც წამოჭრილია თითოეული ეტაპის კრიტიკული საკითხები.

1. თავდაპირველი შეფასება და შემოწმება

განცხადების თავდაპირველი შეფასებისას, ასევე, როცა წყდება, საჭიროა თუ არა დამატებითი ქმედებები, **გასათვალისწინებელია შემდეგი კითხვები:**

- მოიცავს ბრალდების განცხადება კვლევას? მასში ნახსენები პირები მკვლევრები არიან? უკვე განიხილეს ეს ბრალდება, თუ ახლა განიხილავს სხვა დაწესებულება?

გრაფიკი 1. კვლევის არაკეთილსინდისიერებაზე ბრალდების განხილვის პროცესის მოდელი.

- რას ეხება ბრალდება - კარგი კვლევითი პრაქტიკის შესაძლო სერიოზულ დარღვევას, თუ კვლევის უპასუხისმგებლო პრაქტიკას?
- მნიშვნელოვანია გარე დამფინანსებლებისთვის შეტყობინება, დაფინანსების ხელშეკრულების პირობებზე დაყრდნობით?
- რამდენად სერიოზულია ბრალდება? ეს განსაზღვრავს, ვინ და როგორ უნდა განიხილოს ის შემდგომში.
- ექცევა ის მიუღებელი პრაქტიკის/კვლევის არაკეთილსინდისიერების სახელმძღვანელო მითითებებში არსებულ განმარტებასა ან აღწერაში?
- არსებობს საკმარისი მტკიცებულება სიღრმისეული გამოძიების ჩასატარებლად, თუ ამის გადაწყვეტას დამატებითი დოკუმენტაცია სჭირდება?

მიღებული პროცედურა განსაზღვრავს, დამოუკიდებლად განიხილება კვლევის არაკეთილსინდისიერებასა ან სხვა (მაგ. მცირე) დარღვევებთან დაკავშირებული ბრალდებები, თუ ერთობლივად.

2. გამოძიება და მოკვლევა

როდესაც საქმეში მტკიცდება bona fide და ბრალდებას გამოძიებაც მოჰყვება, **გასათვალისწინებელია შემდეგი კითხვები:**

- აქვს პასუხისმგებელ კომიტეტს საჭირო ექსპერტული ცოდნა, თუ გარეშე ექსპერტებიც საჭირონი არიან?
- აქვს კომიტეტს დოკუმენტირებული მათი რეალური ან სავარაუდო ინტერესთა კონფლიქტები?
- აცნობეს კომიტეტს მისი როლი, ასევე, რა სტანდარტები უნდა გამოიყენოს

ბრალდებათა შეფასებისას?

- სჭირდება პასუხისმგებელ კომიტეტს ტრენინგი ეროვნული/ინსტიტუციური პოლიტიკის დოკუმენტების/სახელმძღვანელო მითითებებისა და მსგავს ბრალდებათა განხილვის შესახებ?
- საჭიროა დამატებითი დოკუმენტაცია? როგორ უნდა მოიპოვონ ის?
- შესაძლებელია გამოძიების გაფართოება პროცესის განმავლობაში, თუკი გამოჩნდება „ახალი მტკიცებულებები ან ბრალდებები"?
- დაწესებულია ვადა გამოძიების დასასრულებლად და ამ ვადის გაზრდის მექანიზმი, დასაბუთების შემთხვევაში?
- არსებობს პირი, რომელიც კომიტეტებს დაეხმარება, თავიანთი როლის შესრულებაში?

3. ჩართულ მხარეთა ან მოწმეთა ფორმალური მოსმენები

- ამის გაკეთება შესაძლებელია წერილობით და/ან ზეპირი მოსმენებით.
- ზუსტი ანგარიშის (ჩანაწერის/ტრანსკრიპტის) უზრუნველსაყოფად, უნდა განიხილებოდეს წერილობითი/ზეპირი მოსმენების დოკუმენტირება.
- გათვალისწინებული უნდა იყოს პროცესუალური ნორმები/პროცედურული სამართლიანობა და სხვა შესაბამისი თანამშრომელთა/გრანტორთა სახელშეკრულებო შეთანხმებები.

4. გადაწყვეტილების მომცველი ანგარიშის დაწერა

ნებისმიერი გამოძიება უნდა მოიცავდეს ფაქტების სწორ ანალიზს და სათანადოდ იყენებდეს სტანდარტებს (წესებს, რეგულაციებს, ასევე, სახელმძღვანელო მითითებებს, საჭიროების მიხედვით) და სრულდებოდეს მკაფიო და ზუსტი გადაწყვეტილებით.

- ეს არაკეთილსინდისიერებაა (მაგ. FFP), თუ სხვა მიუღებელი/უპასუხისმგებლო კვლევის პრაქტიკა?
- მიანიშნებს თუ არა მკვლევრის ქმედებები მოტყუების ან ფაქტების დამახინჯების განზრახვას?
- სხვა სახის ქმედება ან ცუდი საქციელია?
- რა უდევს საფუძვლად ამ გადაწყვეტილებას?

უმჯობესია, მიღებული პროცედურები მოიცავდეს მინიმალურ მოთხოვნებს საბოლოო ანგარიშისა და გადაწყვეტილებისთვის. მათ შორის შეიძლება იყოს: კვლევის დაფინანსების

წყარო; არაკეთილსინდისიერების ტიპი; კვლევის ჩანაწერები, რომელშიც არაკეთილსინდისიერება გამოიკვეთა (საგრანტო აპლიკაციები, შუალედური ანგარიშები, პუბლიკაციები და სხვა); შესაბამისი თარიღები; შემთხვევის ფაქტობრივ გარემოებებთან მისადაგებული სათანადო სტანდარტების აღწერა; ასევე, ამავე ფაქტების ანალიზი - მიიჩნევა თუ არა მომხდარი არაკეთილსინდისიერებად.

უმეტესად, კარგ პრაქტიკად ითვლება, როცა ანგარიშის გავრცელებამდე ჩართულ მხარეებს (განსაკუთრებით, მომჩივანსა და ბრალდებულს) მიეცემათ შემთხვევის ფაქტობრივ გარემოებებზე კომენტირების შესაძლებლობა.

გასათვალისწინებელია ნებისმიერი შემამსუბუქებელი ფაქტორი (მაგ. თუ მენტორმა/ხელმძღვანელმა შექმნა ისეთი გარემო, რომ ზეწოლა მოახდინა კვლევით ჯგუფზე და ხელი შეუწყო მიუღებელ პრაქტიკას).

გასათვალისწინებელია შემდეგი ასპექტები

რა საფუძვლით არ მიიღება ბრალდების განცხადებები კვლევის კარგი პრაქტიკის სერიოზულ დარღვევებთან დაკავშირებით (კვლევის არაკეთილსინდისიერება/FFP ან მსგავსი შემთხვევები), ანუ არ იწყება სრული გამოძიება?

- რა საფუძვლით არ მიიღება განცხადებები მცირე დარღვევებთან დაკავშირებით (როგორიცაა მიუღებელი/უპასუხისმგებლო კვლევის პრაქტიკა)?
- როგორ წარიმართება გამოძიება სერიოზულ დარღვევებზე საფუძვლიანი ეჭვის შემთხვევაში (მაგ. როცა საქმე ეხება პასუხისმგებელი კომიტეტის/ორგანოს ან მსგავსი სტრუქტურის ვალდებულებებს, ფორმალურ მოსმენებს, ანგარიშის/გადაწყვეტილების დაწერას, აპელაციას, მომდევნო ნაბიჯებს/სანქციებს და სხვა)?
- როგორ განიხილება დასაბუთებული ეჭვი მცირე დარღვევებთან დაკავშირებით?
- ექნება თუ არა „უსამართლოდ“ ეჭვმიტანილ ადამიანს „გამართლების“ უფლება გამოძიების მსვლელობისას ან, თუნდაც, გადაწყვეტილების მიღების შემდგომ (მაგალითად, ახალი და ცალკე გამოძიების დაწყებით)?
- შესაძლებელია გამოძიების პროცესის დაწყება, თუ: ა) ნებისმიერ ეტაპზე მომჩივანი უკან გაიხმობს განცხადებას; ბ) მოპასუხე ნაწილობრივ ან სრულად აღიარებს გაცხადებულ არაკეთილსინდისიერებას; გ) მოპასუხე ან მომჩივანი დატოვებს

პოსტს.

ეს მნიშვნელოვანია საკითხის გადასაწყვეტად, რადგან გამოძიებას აქვს, სულ ცოტა, ორი მიზანი: 1) დაასკვნას, გამოავლინა თუ არა ბრალდებულმა პირმა არაკეთილსინდისიერება კვლევისას (ან სხვა მიუღებელი პრაქტიკა); და 2) დაიცვას კვლევის ჩანაწერები/კვლევისადმი ნდობა.

გასათვალისწინებელია შემდეგი ასპექტები

- მოთხოვნები საბოლოო ანგარიშის/გადაწყვეტილების მიმართ, მათ შორის, თუ ვინ უნდა იყოს ფორმალურად ინფორმირებული.
- როგორ უნდა დაიხუროს საქმე ქმედითად და დროულად, იმის გათვალისწინებით, რომ პროცესს ხშირად დიდი დრო სჭირდება. არავინ უნდა მონაწილეობდეს გამოძიებაში იმაზე მეტხანს, ვიდრე მკაცრად აუცილებელია.
- შესაძლებელია თუ არა გასაჩივრება, ან ალტერნატიული მოსაზრების მიღება.
- სანქციების პოლიტიკა და შემდგომი ნაბიჯები ჩართულ/დაზარალებულ პირებთან მიმართებით.
- რომელი დაწესებულება უნდა უძღვებოდეს ან განაგებდეს ამა თუ იმ გამოძიებას (მაგალითად, ინსტიტუცია, ეროვნული ორგანიზაცია ან დამოუკიდებელი ორგანო).
- გავრცელებისა და კომუნიკაციის სტრატეგია გამოძიებისას და მის შემდგომ.
- შესაძლო რეაგირება სისტემურ ხარვეზებზე და გაუმჯობესება გამოცდილებაზე დაყრდნობით.

9

აპელაცია ან ალტერნატიული მოსაზრება

გამოძიებებთან/გადაწყვეტილებებთან დაკავშირებული გასაჩივრების შესაძლებლობა განსხვავდება ქვეყნების მიხედვით: ზოგან ეს საკითხი წესრიგდება (ზოგადი) რეგულაციებით ან კანონმდებლობით. ზოგადად, არსებობს სამი შესაძლო მიდგომა:

- გასაჩივრება ადგილობრივ/ინსტიტუციურ დონეზე.

- გასაჩივრება (ან ალტერნატიული მოსაზრების მიღება) გარე (ხშირად ეროვნულ) ორგანოში.
- არანაირი ფორმალური სააპელაციო სისტემა.

შესაძლებელი უნდა იყოს გასაჩივრება „ადმინისტრაციული მოსაზრებებით“ ან შედეგების გასაჩივრება, უშუალოდ „არაკეთილსინდისიერებაზე“ მიღებული რეალური დასკვნისა თუ დაკისრებული სანქციებისგან დამოუკიდებლად.

10
სანქციები და შემდგომი ნაბიჯები

რეკომენდებულია, დაწესდეს სანქციებთან დაკავშირებული პროცედურები და ეს სანქციები გაცხადდეს პოლიტიკის ნაწილად.

უნდა დაზუსტდეს, შესაძლებელია თუ არა პროცესისა და სანქციების გასაჩივრება, და თუ ასეა, ვის წინაშე.

გასათვალისწინებელია დროის ლიმიტები თითოეული ტიპის სანქციისთვის.

საგამოძიებო კომიტეტის გადაწყვეტილება „საბოლოოდ“ მიიჩნევა თუ „საკონსულტაციოდ/სარეკომენდაციოდ“ აღიქმება, განსხვავდება ქვეყნების მიხედვით. ზოგჯერ საბჭო ან უნივერსიტეტის რექტორი იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას არსებული პოლიტიკიდან გამომდინარე, რომელიც მკაფიო უნდა იყოს.

დამფინანსებელი ორგანიზაციები

დამფინანსებელ ორგანიზაციებს შეუძლიათ სანქციების დაწესება, თუკი შეიტყობენ (რაც ასეც უნდა იყოს), რომ მათ მიერ დაფინანსებულმა მკვლევარმა არაკეთილსინდისიერება გამოიჩინა კვლევისას. ეს სანქცია შეიძლება იყოს:

- დაფინანსების მოხსნა.
- სამომავლო დაფინანსების კონტროლი.
- დაფინანსებაზე განაცხადის წარდგენის აკრძალვა (ძირითადად, შეზღუდული დროით).
- აკრძალვა, მოქმედებდნენ როგორც კოლეგათა საქმიანობის შემფასებლები, ან მონაწილეობდნენ ორგანოებში, რომლებიც იძლევიან

რეკომენდაციას დაფინანსებაზე.

- დავალდებულება, რომ უკან დააბრუნონ დაფინანსება.

სამეცნიერო ჟურნალები

სამეცნიერო ჟურნალები ინფორმირებულნი უნდა იყვნენ, როცა ეს რელევანტურია, და შეიძლება ჩაერთონ სანქციებში, როგორიცაა ჩასწორება, შესწორებები და სხვა.

შეიძლება საჭირო იყოს სხვა უფლებამოსილ ორგანოთა ინფორმირებაც, რომლებსაც შეეძლებათ გადაწყვეტილების მიღება სანქციებზე.

სანქციები, პირველ რიგში, წესდება ინსტიტუციურ დონეზე, ხანდახან სხვადასხვა დაწესებულებაშიც, თუ ჩართულ მკვლევარს კავშირი აქვს სხვადასხვა დაწესებულებასთან/თანამშრომელთან. არცთუ იშვიათად, კომიტეტები (ადგილობრივი და ეროვნული) გვთავაზობენ გარკვეულ სანქციებს.

სანქციებზე მონიტორინგს უნდა ითვალისწინებდეს ინსტიტუციური ან ეროვნული მიდგომები (მაგალითად, არსებობს თუ არა სისტემა, რომელიც დაგვარწმუნებს, რომ პირი არ მუშაობს მრჩევლად, ან არ იღებს გრანტს აღნიშნული დროის განმავლობაში?).

შემდგომ ნაბიჯებსა ან სანქციებში შეიძლება შედიოდეს:[5]

- ზედამხედველობა
- დამატებითი ტრენინგი
- მედიაცია
- კვლევითი საქმიანობის შეზღუდვა
- ხელმძღვანელობის უფლების აღკვეთა გარკვეული დროით
- შეზღუდვები ისეთი კუთხით, როგორიცაა გარე დაფინანსებების მოპოვება და/ან სტატიების გამოქვეყნება, კონფერენციებში მონაწილეობა და ა.შ.
- გაფრთხილების/საყვედურის მიცემა
- შიდა დაფინანსების გაუქმება
- სტატუსის/ხარისხის ჩამორთმევა (შესაძლებელია მხოლოდ ზოგ

[5] კვლევის არაკეთილსინდისიერების შემთხვევათა განხილვის ეროვნული სისტემები. დანიის მეცნიერებათა, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების სააგენტო (2013).

ქვეყანაში და გარკვეულ გარემოებებში)

- დისციპლინური ქმედება (პირობით ჩამოშორება აკადემიური საქმიანობიდან, სამსახურიდან დათხოვნა)
- ჩასწორება
- შემდგომი ნაბიჯები თანაავტორთა, თანამკვლევართა, ჩართულ დოქტორანტთა და სხვათა მიმართ

ქვეყნების უმეტესობაში სანქციების (მაგ. სტატუსთან/პოზიციასთან დაკავშირებით) გასაჩივრება დაშვებულია კანონით.

დაწესებული სანქციები, უმეტესად, კონფიდენციალურია, ზოგ ქვეყანაში - სამართლებრივი მიზეზებით.

ეს არ არის რეკომენდებული, თუ საქმე ეხება კვლევის კეთილსინდისიერებას. სანქციების დაწესებაზე გადაწყვეტილების მიღება შეიძლება რთული აღმოჩნდეს, განსაკუთრებით, როცა მსგავს შემთხვევათა სანქცირებაზე ცოდნა ძალიან მცირეა. კვლევის კეთილსინდისიერების პერსპექტივიდან, უმჯობესია, თუ დაწესებული სანქციები აღიწერება/გავრცელდება. ეს შეიძლება გაკეთდეს ანონიმურადაც (მათ შორის, იმ ანგარიშის ანონიმიზაციით, რომლის საფუძველზეც სანქციები დაწესდა). ეს ძალიან დაეხმარება სხვა პასუხისმგებელ დაწესებულებებს სამომავლო სანქციებზე გადაწყვეტილების მიღებისას და მიგვიყვანს პროცესის მეტ ერთგვაროვნებასა და სამართლიანობამდე.

11

ინფორმაციის გავრცელება და კომუნიკაცია გამოძიებისას და მის შემდეგ

> *გასათვალისწინებელია ინფორმაციის გავრცელებისა და კომუნიკაციის პოლიტიკა გამოძიებისას და მის შემდეგ*

სასურველია, მიღებული პროცედურები მოიცავდეს წესებს გამოძიების ანგარიშის გავრცელებასთან დაკავშირებით. ეს უზრუნველყოფს პროცედურათა თანმიმდევრულ გამოყენებას, პროცედურულ სამართლიანობას, ან ჩართული პირებისადმი თანასწორ მოპყრობას ამა თუ იმ შემთხვევაში.

გასათვალისწინებელია შემდეგი ასპექტები

- როგორ უნდა გავრცელდეს ანგარიში?
- უნდა შეიცავდეს ის სახელებს?
- უნდა დასახელდეს ჩართული დაწესებულებები?

მეორე მხრივ, არსებობს სპეციფიკური გარემოებებიც: მაგალითად, თუ შემთხვევა უკვე ფართოდ განიხილება მედიაში და სახელებიც გამჟღავნებულია, შეიძლება აუცილებელი გახდეს ღიაობა (მათ შორის, სახელებთან მიმართებით), მით უმეტეს, თუ მიღებულია დასკვნა, რომ არაკეთილსინდისიერება არ გამოვლენილა.

კომუნიკაციის სტრატეგია (რა უნდა გამჟღავნდეს და როგორ) შეიძლება ასევე მნიშვნელოვანი იყოს გამოძიების პროცესში (ან განცხადების მიღების მომენტიდან) და ანგარიშისა და/ან ამოქმედებულ სანქციებზე ინფორმაციის გავრცელებისას.

> *რეკომენდებულია სიფრთხილის გამოჩენა გამოძიების შედეგების გამჟღავნებისას, თუ მოსალოდნელია მათი გასაჩივრება.*

იდეალურ შემთხვევაში, გამოძიების პროცედურულ ასპექტებზე პასუხისმგებელ პირებს კომუნიკაციის ღია არხები აქვთ შექმნილი, ადმინისტრაციის მხარდაჭერით (მაგ. პრორექტორი, სამართლებრივი მრჩევლები, მოხელეები საჯარო ურთიერთობებისა თუ ადამიანის/ცხოველის/უსაფრთხოების დარგში), რათა ადვილად უპასუხონ უეცრად წარმოშობილ პრობლემებს, თავიანთი მიხედულებისა და სამართლიანობის განცდით. ეტიკეტი მოითხოვს, რომ ჩართულ მხარეებს სათანადოდ ეცნობოთ შედეგები საჯაროდ გავრცელებამდე და, იდეალურ შემთხვევაში, შეატყობინონ პრესრელიზით ან სხვა სახით გავრცელებამდეც. ასევე სასარგებლოა დაკვირვება ანონიმურ მონაცემებზე, რომლებიც შეგროვდა გამოვლენილი საკითხების, პრობლემების, ბრალდებებისა და შემთხვევების შესახებ, რათა აღმოიფხვრას შესაძლო ხარვეზები, გამოვლინდეს სფეროები, რომლებიც საჭიროებს სწავლებას და გაუმჯობესდეს კვლევითი გარემო. მსგავსი მონაცემები მიმართულებას მისცემს სწავლებასა და არაფორმალურ დისკუსიებს დადებითი კვლევითი კულტურის გარშემო.

12

რეაგირება გამოძიების მიერ გამოვლენილ შესაძლო სისტემურ პრობლემებზე

სისტემური პრობლემები ყოველთვის გასათვალისწინებელია.

რეკომენდებულია გამკლავება გამოძიების მიერ გამოვლენილ შესაძლო სისტემურ პრობლემებთან. კვლევის არაკეთილსინდისიერების (ან კარგი პრაქტიკის განმეორებითი დარღვევის) მიზეზები და საფუძველი დაწვრილებით უნდა გაანალიზდეს და შეფასდეს. მთავარი მიზანია, აღიკვეთოს მისი ხელახალი ჩადენა. მეტიც, კვლევის კეთილსინდისიერების ინსტიტუციურ პროგრამებსა ან სახელმძღვანელო მითითებებში უნდა ჩაერთოს გაკვეთილები კვლევითი კულტურის გასაუმჯობესებლად.

გასათვალისწინებელია შემდეგი ასპექტები

- თუ აღმოჩნდება, რომ მხოლოდ ერთმა პირმა ჩაიდინა კვლევის არაკეთილსინდისიერება, ბრალი მხოლოდ მას მიუძღვის?
- სხვა მკვლევრებიც იმავეს აკეთებდნენ?
- რატომ მოხდა ეს და რატომ არ გამომჟღავნდა უფრო ადრე?
- ვინმემ ამხილა აქამდე?
- ამოძრავებდა თუ არა „უსინდისო“ ზრახვები ადამიანს, რომელმაც არაკეთილსინდისიერება ჩაიდინა?
- იმყოფებოდა თუ არა ის კონკრეტული ზეწოლის ქვეშ?
- გამოიკვეთა თუ არა კარგი ზედამხედველობისა ან ხელმძღვანელობის ნაკლებობა?
- კვლევის კეთილსინდისიერების როგორი კულტურაა შესაბამის დაწესებულებაში?
- არსებობს ღიაობა და თავისუფალი დისკუსია უმცროს და უფროს მკვლევრებს შორის?
- ჩატარდა ტრენინგი კვლევის კეთილსინდისიერების საკითხებზე?
- არის თუ არა კვლევის კეთილსინდისიერების სახელმძღვანელო მითითებები საკმარისი, განახლებული და ფართოდ ხელმისაწვდომი

ნებისმიერ შემთხვევაში?

- სხვა სიტყვებით, არსებობს თუ არა სისტემური პრობლემები (კონკრეტულ სფეროში, კონკრეტულ კვლევით ჯგუფსა ან განყოფილებებში, ან, უფრო ზოგადად, ადგილობრივ და/ან ეროვნულ დონეზე) და როგორ უნდა განვითარდეს კვლევის კეთილსინდისიერება, რათა მომავალში მსგავსი რამ აღარ მოხდეს?

ასეთი კითხვები მუდმივად უნდა ისმებოდეს და განიხილებოდეს კვლევის არაკეთილსინდისიერების გამოვლენის შემდეგ და შესაფერისი ქმედებებიც ხორციელდებოდეს ამ პრობლემებსა თუ გამოწვევებთან გასამკლავებლად. თუმცა, შესაძლებელია, სისტემური პრობლემები გამოძიებამ იმ შემთხვევაშიც გამოავლინოს, როცა არაკეთილსინდისიერება არ დამტკიცდება.

13

საზღვართაშორისი ბრალდებები/გამოძიებები

რეკომენდებულია შეთანხმებების ადრევე გაფორმება თანამშრომლობით (განსაკუთრებით, დაწესებულებათაშორის და საზღვართაშორის) პროექტებში. შესაბამისად, რეკომენდებულია OECD-ის სახელმძღვანელო მითითებებისა და მონრეალის განცხადების დაცვა.

ასევე რეკომენდებულია, შესაბამისი სახელმძღვანელო მითითებებით/პროცედურებით განიხილებოდეს საზღვართაშორისი ბრალდებები იმ ქვეყნებში, სადაც ჩატარდა/დაფინანსდა მიუღებელი კვლევა. გასათვალისწინებელია სამართლებრივი ასპექტებიც.

მეტი ცოდნაა საჭირო საზღვართაშორის გამოძიებებთან დაკავშირებული გამოწვევებისა და, შესაბამისად, საერთო ევროპული პოლიტიკის, პროცედურებისა თუ განცხადებების შესახებ.

ეჭვგარეშეა, რომ ჯობს, პროცედურა გაიწეროს გამოძიების საჭიროებამდე. ერთ-ერთი მთავარი სირთულე შეიძლება აღმოჩნდეს განსხვავებები კვლევის არაკეთილსინდისიერების განსაზღვრებაში. არაკეთილსინდისიერების განმარტება ან აღწერა განხილული და, თუ შესაძლებელია, შეთანხმებულიც უნდა იყოს.

მონრეალის განცხადება საზღვართაშორის კვლევით თანამშრომლობაში

კვლევის კეთილსინდისიერების შესახებ[6] ამბობს:

> **19. პასუხი კვლევის უპასუხისმგებლო პრაქტიკაზე. თანამშრომლობას, მთლიანობაში, გამართული უნდა ჰქონდეს პროცედურები, რომ უპასუხოს ბრალდებებს არაკეთილსინდისიერების ან სხვა უპასუხისმგებლო პრაქტიკის გამოვლენაზე მისი რომელიმე წევრის მიერ. თანამშრომლობის პარტნიორებმა დროულად უნდა იმოქმედონ, როცა საეჭვოა ან დადასტურდება არაკეთილსინდისიერების ან კვლევის სხვა უპასუხისმგებლო პრაქტიკის გამოვლენა რომელიმე მხარის მიერ.**

მსგავსი პროცედურები გადამწყვეტია როგორც საერთაშორისო კვლევითი თანამშრომლობისას, ისე ერთ ქვეყანაში პარტნიორებს შორის თანამშრომლობისას.

2009 წელს OECD-ის მსოფლიო სამეცნიერო ფორუმმა გამოსცა პრაქტიკული სახელმძღვანელო: „კვლევის არაკეთილსინდისიერების ბრალდებათა გამოძიება საერთაშორისო თანამშრომლობის კვლევით პროექტებში“.[7] მასში რეკომენდებულია:

- განისაზღვროს პრინციპები და მინიმალური მოთხოვნები გამოძიებისთვის;
- შემუშავდეს შესაფერისი სტრუქტურა;
- დადგინდეს გამოძიების ფარგლები და საზღვრები და გათვალისწინებული იყოს არაკეთილსინდისიერების (შეთანხმებული) განმარტებები;
- განისაზღვროს ნაბიჯების მკაფიო თანმიმდევრობა ბრალდებათა გამოსაძიებლად;
- ჩამოყალიბდეს მკაფიოდ განსაზღვრული პროცედურები გამოძიებისა და გადაწყვეტილების მიღების ეტაპებისთვის და სახელმძღვანელო მითითებები მათთან დაკავშირებული ვადების შესახებ;
- გაიწეროს ანგარიშის მომზადებისა და გავრცელების მოთხოვნები;
- დადგინდეს საკონტაქტო პუნქტებს შორის კომუნიკაციის სტრატეგია.

სახელმძღვანელო მოიცავს **„საერთაშორისო თანამშრომლობის კვლევითი პროექტის ნიმუშს“** (ასევე იხილეთ *ტექსტი 1*) და ამბობს:[8]

---

[6] მონრეალის უწყება: https://wcrif.org/guidance/montreal-statement

[7] OECD-ის მსოფლიო სამედიცინო ფორუმი. „კვლევის არაკეთილსინდისიერების ბრალდებათა გამოძიება საერთაშორისო თანამშრომლობის კვლევით პროექტებში“, პრაქტიკული სახელმძღვანელო, 2009, 3.

[8] OECD-ის მსოფლიო სამედიცინო ფორუმი. „კვლევის არაკეთილსინდისიერების ბრალდებათა გამოძიება საერთაშორისო თანამშრომლობის კვლევით პროექტებში“. პრაქტიკული სახელმძღვანელო, აპრილი, 2009, 3.

„როცა წერილობითი შეთანხმება შემუშავებულია თანამშრომლობითი კვლევისთვის, სადაც ჩართულნი არიან მხარეები ერთზე მეტი ქვეყნიდან, შეთანხმება უნდა მოიცავდეს შემდეგ შაბლონ ტექსტს და, თუ შესაფერისია, შეივსოს უფრო კონკრეტული დოკუმენტით, რომელიც აღწერს გაცხადებული სამეცნიერო არაკეთილსინდისიერების შემთხვევაში გამოსაყენებელ პოლიტიკასა და პროცედურებს.“

ჩვენ ( ), ვთანხმდებით, რომ:

- **კვლევას ჩავატარებთ კვლევის კეთილსინდისიერების სტანდარტთა შესაბამისად, როგორც ამას განმარტავს პრაქტიკული სახელმძღვანელო „კვლევის არაკეთილსინდისიერების ბრალდებათა გამოძიება საერთაშორისო თანამშრომლობის კვლევით პროექტებში“ (www.oecd.org/sti/gsf) და სხვა შესაფერისი დოკუმენტები, მათ შორის (*დააკონკრეტეთ ქცევის ეროვნული კოდექსები და დისციპლინური ან ეთიკის სახელმძღვანელოები, რომლებიც გამოიყენება*);**
- **ნებისმიერ საეჭვო გადახრას ამ სტანდარტებიდან, კერძოდ, კვლევის გაცხადებულ არაკეთილსინდისიერებას, დაუყოვნებლივ მიაქცევს ყურადღებას (ყველა დანიშნული საკონტაქტო პუნქტი) და გამოიძიებენ (*ჩაწერეთ პირველადი პასუხისმგებლობის მქონე ორგანო*) პოლიტიკის დოკუმენტებისა და პროცედურების შესაბამისად, ასევე, ყველა მონაწილე მხარის სახელმწიფო კანონმდებლობისა და სუვერენიტეტის პატივისცემით.**
- **ვითანამშრომლებთ და დავეხმარებით ნებისმიერ მსგავს გამოძიებას.**
- **მივიღებთ ნებისმიერი ასეთი გამოძიების დასკვნებს (რომლებიც შეიძლება გასაჩივრდეს) და ვიმოქმედებთ შესაბამისად.**

ტექსტი 1. საერთაშორისო ერთობლივი კვლევის პროექტის ნიმუში[9]

როცა აღიძვრება საზღვართაშორისი ბრალდება ან ეჭვი უპასუხისმგებლო პრაქტიკის/კვლევის არაკეთილსინდისიერების შესახებ, თუმცა არ არსებობს შესაბამისი შეთანხმება ან პროცედურები, ჩნდება გამოწვევები.

სცენარები შეიძლება იყოს შემდეგნაირი:

1) ბრალდება შეეხება მკვლევრებს სხვადასხვა დაწესებულებიდან ა) ერთ ქვეყანაში, ბ) ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში, გ) მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში.
2) ბრალდება შეეხება მკვლევარს, რომელიც აქამდეც მოქცეულა არასწორად სხვა დაწესებულებასთან მუშაობისას (ან კავშირისას) ა) იმავე ქვეყანაში, ბ) სხვადასხვა ქვეყანაში.
3) გამოძიებისას აღმოჩნდება, რომ მკვლევარი გამოძიების ქვეშ არის სხვა დაწესებულებასა ან ქვეყანაშიც.
4) მკვლევარი სხვა ქვეყანაში გადადის ა) გამოძიების პროცესში, ბ) გამოძიების დასრულების შემდეგ, და ამ გზით „იცილებს“ მეთვალყურეობასა და სანქციებს, თუმცა აგრძელებს კვლევას (იღებს ახალ პოზიციას, ახალ დაფინანსებას და ა.შ.) და, შესაძლოა, არასწორ ქცევასაც, სანქციების მიუხედავად.
5) ბრალდება აღიძვრება ერთ ქვეყანაში, თუმცა კვლევა (ან მისი ნაწილი) სხვა ქვეყანაში მიმდინარეობს, ან სხვა ქვეყნის/ფონდიდან ფინანსდება.

> არ აქვს მნიშვნელობა, რამდენად რთულია საქმე, საზღვართაშორისი ბრალდებები უნდა გამოიძიონ სათანადო პროცესუალური ნორმების/პროცედურული სამართლიანობის შესაბამისად და, „შიდა/ადგილობრივი“ საგამოძიებო პროცედურების მიდევნებისას, ითვალისწინებდნენ ყველანაირ შედეგს სხვა მხარეებისთვის.

[9] OECD-ის გლობალური სამეცნიერო ფორუმი.„კვლევის არაკეთილსინდისიერების ბრალდებათა გამოძიება საერთაშორისო თანამშრომლობის კვლევით პროექტებში.“ პრაქტიკული სახელმძღვანელო. აპრილი 2009, 3.

გასათვალისწინებელია შემდეგი ასპექტები

- თუ გამოვლინდება არაკეთილსინდისიერება, თავიდანვე უნდა შედგეს შეთანხმებები პროცესის წარმართვისა და დოკუმენტირებისთვის.
- თუ არ არსებობს პროცედურა საზღვართაშორის ბრალდებებთან დაკავშირებით, საწყისი წერტილი შეიძლება იყოს კითხვა: რომელი ორგანო/ქვეყანა იყო განსახილველი მკვლევრის/კვლევის (მთავარი) დამსაქმებელი ან მთავარი დამფინანსებელი?
- მნიშვნელოვანია საკონტაქტო პუნქტების დაწესება ჩართულ დაწესებულებებს/ქვეყნებს შორის, დადგენილი პროცედურებით მოქმედებისა ან გარკვეულ მიმართულებაზე შეთანხმებისთვის.
- თუ რთულია/შეუძლებელია კონტაქტის დამყარება (ქვეყანაში ან ქვეყნებს შორის), დახმარება უნდა შეძლოს კვლევის კეთილსინდისიერების ეროვნულმა ორგანომ (არსებობის შემთხვევაში). ეროვნულ ორგანოს უნდა შეეძლოს რჩევის მიცემა, თუ რომელ პროცედურას უნდა მიჰყვნენ და/ან თავად განიხილოს ბრალდება, თუ ეს შესაძლებელია. თუ ეროვნული ორგანო არ არსებობს, შესაძლო დახმარებისა ან რჩევისთვის უნდა დაუკავშირდნენ ENRIO-ს (იხილეთ www.enrio.eu).

აუცილებელია გამჭვირვალობა და ღიაობა (კონფიდენციალურობასთან დაკავშირებულ რეგულაციათა სათანადო დაცვით) საკონტაქტო პუნქტებს/პასუხისმგებელ ორგანოებს შორის ამა თუ იმ გარემოში. უმნიშვნელოვანესია ორმხრივი ნდობის წახალისება და თანამშრომლობა კეთილსინდისიერების საკითხის გამოძიებაში.

თუ შესაძლებელია, თავიდან უნდა აიცილონ საზღვართაშორისი შემთხვევების განხილვა სხვადასხვა ქვეყნის დახურულ წრეებში.

სადაც შესაძლებელია (თუ არ ეწინააღმდეგება რეგულაციებსა ან კანონმდებლობას), უნდა გასაჯაროვდეს დადასტურებულ შემთხვევათა შედეგები.

სანქციებისადმი განსხვავებულ მიდგომათა მიუხედავად, სასურველია თანმიმდევრულობა და ერთგვაროვანი სახელმძღვანელო მითითებების არსებობა.

როდესაც პირს მკვლევრის პოზიციაზე შემოაქვს განცხადება, დამქირავებელი

დაწესებულების პასუხისმგებლობაა შესაბამისი ზომების მიღება იმაში დასარწმუნებლად, რომ კანდიდატი არ ყოფილა ჩართული კვლევის არაკეთილსინდისიერებაში და მის მიმართ არ მიმდინარეობს გამოძიება.

პრაქტიკული რჩევები საზღვართაშორისი ბრალდების შემთხვევაში

შიდა დონეზე

- ითანამშრომლეთ შესაბამის ადამიანებთან (ადვოკატებთან, საჯარო ურთიერთობებში, რექტორატთან) ადგილობრივ დაწესებულებაში.
- მოიძიეთ არაკეთილსინდისიერებასთან დაკავშირებული პოლიტიკა და პასუხისმგებელი პირები სხვა დაწესებულებებში.
- კონტაქტის დამყარებამდე, კონსულტაცია გაიარეთ პასუხისმგებელ პირებთან.
- გაითვალისწინეთ ენობრივი, კულტურული და იურიდიული ბარიერები, მოიძიეთ „ჰიპოთეტური“ რჩევები.
- გაითვალისწინეთ შესაძლო თარგმანისა და შემოწმების ხარჯები (მთარგმნელებს ხელი მოაწერინეთ კონფიდენციალურობის შეთანხმებაზე).

გარე დონეზე

- მოიძიეთ კონტაქტი/პოლიტიკა შესაბამის დაწესებულებაში და, თუ საჭიროა, დაუკავშირდით კვლევის კეთილსინდისიერების ეროვნულ ორგანოებსა ან რეგიონულ ქსელებს, ან ENRIO-ს (იხილეთ www.enrio.eu).
- განსაზღვრეთ წამყვანი დაწესებულება ან, თუ შესაძლებელია, მოიძიეთ საერთო პლატფორმა, ანდა შეთანხმდით ერთობლივ გამოძიებასა და/ან საზიარო პასუხისმგებლობაზე (იხილეთ OECD-ის სახელმძღვანელო[10]).
- დადეთ შეთანხმება/შეიმუშავეთ საერთო აზრი, თუ როგორ უნდა განვითარდეს პროცესი.

---

10 OECD Global Science Forum. Investigating Research Misconduct Allegations in International Collaborative Research Projects. A PRACTICAL GUIDE. April 2009

14

როგორ ვისწავლოთ ერთმანეთისგან

ყოველწლიური ეროვნული ანგარიშები (ინგლისურ ენაზე), რომლებიც აღწერს სპეციფიკურ (თუმცა ანონიმურ) გამოძიებებსა და კვლევის პასუხისმგებლიანი პრაქტიკის შესაძლო დარღვევებს, მიგნებებს, ასევე, მთავარ სადისკუსიო საკითხებსა და გამოწვევებს კვლევის კეთილსინდისიერების პრინციპებთან დაკავშირებით, უნდა გასაჯაროვდეს გაერთიანებული ფორმით, რათა სხვებმა ამ ტენდენციებიდან ისწავლონ.

ეს ძალიან სასარგებლო იქნება გამოძიებაზე პასუხისმგებელი ან რჩევის მიმცემი ნებისმიერი პირისთვის, არა მხოლოდ იმიტომ, რომ „საერთო“ გამოცდილება ევროპულ დონეზეც კი შეზღუდულია, განხილულ შემთხვევათა შედარებით მცირე რაოდენობის გამო. შემთხვევების უმეტესობა, რაღაც მხრივ, გამორჩეული იქნება, თუმცა მაინც მოიცავს სხვადასხვა შემთხვევის განხილვასთან დაკავშირებულ სადისკუსიო საკითხებსა თუ გამოწვევებს, რაც მნიშვნელოვანი იქნება სატრენინგო აქტივობებისთვის, ან კვლევის კეთილსინდისიერების წასახალისებლად.

მსგავსი ყოველწლიური ანგარიშები თავმოყრილია ENRIO-ს ვებგვერდზე. (www.enrio.eu).

მადლობა მხარდაჭერისთვის

ეს სახელმძღვანელო ENRIO-ს მიერ შექმნილი სამუშაო ჯგუფის რჩევებისა და დისკუსიების პირდაპირი შედეგია. მისი ყველა წევრის სიას დანართში იხილავთ. გულწრფელი მადლობა თითოეულ მათგანს. განსაკუთრებული მადლობა ENRIO-ს შეხვედრათა ორგანიზატორებს ამსტერდამში, ლისაბონსა და რომში, რომელთაც შესაძლებელი გახადეს სამუშაო ჯგუფის შეკრება.

ასევე მადლობა მინდა გადავუხადო ENRIO-ს წინა თავმჯდომარეს, **ნიკოლ ფოეგერს,** და მის ასისტენტს, **ბირჯიტ ბუშბომს,** კვლევის კეთილსინდისიერების ავსტრიული სააგენტოდან (OeAWI). მათ, **გრეის ვან არკელთან** ერთად, უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულეს და ბევრი ძალზე ღირებული გზით გაგვიწიეს დახმარება სამუშაო ჯგუფის შეხვედრებამდე, უშუალოდ შეხვედრებისას და შემდგომ. ამ სამ ადამიანს კავშირი ჰქონდა ENERI-თანაც (კვლევის ეთიკისა და კვლევის კეთილსინდისიერების ევროპულ ქსელთან), რომელიც დაფინანსებულია EU Horizon-ის 2020 წლის პროგრამით. ეს სახელმძღვანელო ENERI-ის ერთ-ერთი ნაშრომია. მადლობა **არმინ შმოლმულერს** OeAWI-დან, სახელმძღვანელოს საბოლოო სახეზე მუშაობისთვის.

თავდაპირველად, სამუშაო ჯგუფი ერთდროულად ორ საკითხს განიხილავდა: 1) რეკომენდაციებს კვლევის არაკეთილსინდისიერების გამოძიებათა შესახებ და 2) პატიოსან მამხილებელთა დაცვას. მოგვიანებით გადაწყდა, განეცალკევებინათ დისკუსიები და შედეგები. საბოლოოდ, პატიოსან მამხილებელთა დაცვაზე მომუშავე ქვეჯგუფს თავმჯდომარეობდა **სანა კაისა სპუფი**, ფინეთის კვლევის კეთილსინდისიერების ეროვნული საბჭოს (TENK) გენერალური მდივანი. მან ხელი შეუწყო შეხვედრის დაგეგმვას ჰელსინკიში, სადაც ორივე საკითხი შედარებით პატარა ჯგუფმა განიხილა. გარდა ამისა, TENK-მა ჰელსინკიში დააორგანიზა უფრო დიდი შეხვედრაც, რომელსაც მოწვეული სპიკერებიც დაესწრნენ. მიუხედავად იმისა, რომ შეხვედრა ეხებოდა პატიოსან მამხილებელთა დაცვას, ის გამოძიების სამუშაო ჯგუფისთვისაც ძალიან სასარგებლო აღმოჩნდა. დიდი მადლობა TENK-ის სამდივნოს, სანა კაისა სპუფსა და TENK-ის თავმჯდომარეს, **კრისტა ვარანტოლას**.

სახელმძღვანელო შეადგინა გამოძიების სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარემ და შემდგომში შესწორდა სამუშაო ჯგუფის მრავალი წევრის მეტად დასაფასებელ წვლილზე დაყრდნობით. ასევე უნდა ვაღიაროთ ENRIO-ს სხვა სამუშაო ჯგუფის (კვლევის კეთილსინდისიერების ტრენინგთა ჯგუფი) თავმჯდომარის, მაიკლ

გომელის როლი, რომელმაც, მიუხედავად იმისა, რომ არ იყო სამუშაო ჯგუფის წევრი, ხელი შეუწყო თავდაპირველი მონახაზის გაუმჯობესებას. და ბოლოს, არანაკლებ მნიშვნელოვანია ზოი ჰამატის დახმარება, ვინც მრავალი წლის განმავლობაში მუშაობდა კვლევის კეთილსინდისიერებასა და კვლევის არაკეთილსინდისიერების გამოძიებებზე შეერთებულ შტატების კონტექსტში, ასევე, მთელ მსოფლიოში. გულითადი მადლობა მას არაერთ ასპექტსა და სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებული არსებითი წვლილისთვის, რომელიც ეყრდნობა ტრანსატლანტიკურ გამოცდილებას, ევროპული ტრადიციის გაგებისთვის, ასევე, სახელმძღვანელოს ინგლისური ენის გაუმჯობესებისთვის, სამუშაო ჯგუფის წევრთან, მაურა ჰინისთან ერთად.

საბოლოოდ, მადლობა ENRIO-ს ყველა წევრს (ყოფილსაც და ახლანდელსაც), რომ ქსელი ნამდვილ ევროპულ წარმატებად აქციეს და მუდმივად მუშაობენ კვლევის კეთილსინდისიერების გაზრდაზე.

ტორკილდ ვინტერი

გამოძიების სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე

დანართები

დანართი

სამუშაო ჯგუფის წევრები

ქვეყანა	ორგანიზაცია	აკრონიმი	სახელი
თავმჯდომარე			
ნორვეგია	National Research Ethics Committees	Etikkom	Torkild Vinther
წევრები			
ავსტრია	Austrian Agency for ResearchIntegrity	OeAWI	Nicole Foeger
ბელგია	Flemish Commission for Research Integrity	VCWI	André Van Steirteghem Bert Seghers
ხორვატია	Croatian Committee on Ethics in Science and Higher Education	CESHE	Ivica Vilibic
ჩეხეთი	Commission for the Scientific Integrity of the Czech Academy of Sciences	CAS	Petr Kratochvíl
დანია	Danish Committee on Research Misconduct	DCRM	Mathias Willumsen
ფინეთი	Finnish National Board on Research Integrity	TENK	Sanna Kaisa Spoof Krista Varantola
საფრანგეთი	French Agricultural Research Centre for International Development Internal Office of the French National Institute of Health and Medical Research CNRS Ethics Committee	CIRAD INSERM COMETS	Philippe Feldmann Ghislaine Filliatreau Michèle Leduc
გერმანია	German Research Ombudsman Team Scientific Integrity and Office for Ombudsman Affairs of the University of Hamburg	Ombudsman SciInt	Hjördis Czesnick Fanny Oehme Helga Nolte

ირლანდია	Health Research Board	HRB	Maura Hiney
იტალია	National Research Council	CNR	Cinzia Caporale
ლუქსემბურგი	Luxembourg National Research Fund	FNR	Asaël Rouby
ნიდერლანდები	Netherlands Board on Research Integrity Netherlands Research Integrity Network	LOWI NRIN	Fauzia Roepnarain Claudia Luettke
პოლონეთი	National Committee of the Polish Academy of Sciences National Science Centre	PAN NCN	Adrian Kuzniar Laura Bandura-Morgan
პორტუგალია	Foundation for Science and Technology	FCT	Joana Araujo
შვედეთი	Central Ethical Review Board	CEPN	Jörgen Svidén Elisabeth Rachlew
შვეიცარია	Swiss Academies of Arts and Sciences	SAMW	Michelle Salathé
European Network of Research Ethics and Research Integrity		ENERI	Grace van Arkel
დამკვირვებელი			
Z Consulting, LLC			Zoë Hammatt

eneri

The European Network of
Research Ethics and Research Integrity